ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 16 აპრილი, 2014

№89 (6400)

ფასი: 30 თეთრი

16 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია

წიგნი 2

3 ლარი და 30 თეთრი



# დაკითხავს თუ არა პროკურატურა დეპუტატ კახა ოქრიაშვილს

ქეთევან ბახტაძე: „დამნაშავე პირები უნდა დაისაჯონ. კახა ოქრიაშვილი აუცილებლად დასაკითხია ბერუაშვილის გატაცების ფაქტზე. უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევთ, მაგრამ ამ პირმა აუცილებლად უნდა გასცეს ყველა კითხვას პასუხი და, მის მიმართ თუკი დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, მან სრული პასუხისმგებლობით უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე“

გვ.3



## პარლამენტმა პოლიტპატიმრების ახალი სია შეადგინა

გვ.4



პროკურატურას 31 საქმის განხილვა მოუწევს

## შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზვიად ჯანყარაშვილმა თანამდებობა დატოვა

გვ.4



— გვ. 2 —

## გიორგი მარგველაშვილი ექსპერტებს შეხვდა

## ვახტანგ მაისაია: „რუსეთს უკრაინის მიერთება არ სჭირდება“



გვ.2



გვ.6

## უგულავას სიმამრს აღკვეთის ღონისძიების სახით 20 ათასი ლარის გირაო შეეფარდა

## ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესმენებს სპორტში ინვესტიციების განხორციელებისკენ მოუწოდებს

გვ.5



წინასააღდგომო საჩუქარი

15 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

საქართველოს ისტორია

საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




ISSN 1987-9385

2 ცესკო არჩევნების ჩასატარებლად მზადაა

5 გელა კვაჭანტირაძე: „ნაციონალები პროვოკაციებს არ ერიდებიან“

4 რა არჩევანის წინაშე დგას ხელისუფლება

6 დავით ლილუაშვილი: „მიკვირს, ხალხი უფრო რადიკალურად რატომ არ იქცევა“

# გიორგი მარგველაშვილი ექსპერტებს შეხვდა

ნათია ხურცილავა



**პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გუშინ ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრა მარგველაშვილმა კონსულტაციები უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ექსპერტებთან გაიარა. როგორც მან შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია დღეს უფრო აუდიტორიის როლში იყო.**

– ვისმენდით ექსპერტების მოსაზრებებს, რაც უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. – აღნიშნა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, შეხვედრაზე უამრავი საკითხი განიხილეს, მათ შორის საქართველოს, მისი მეზობლების ურთიერთობების თემები, ასევე გლობალური საკითხები, თუ რამდენად ახდენს რეგიონში მიმდინარე პროცესები გავლენას საქართველოზე, მის სტაბილურობაზე, სუვერენიტეტსა და მდგრადობაზე.

– ბევრი თემა განვიხილეთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მიმდინარე. ამ საკითხებს კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით და ეს შეხვედრა კიდევ ერთხელ გაიმართება. – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ დახურულ შეხვედრას ოცამდე ექსპერტი დაესწრო. შეხვედრიდან გამოსულმა ექსპერტებმა ჟურნალისტებთან აღნიშნეს, თუ რა საკითხები განიხილეს. როგორც ცნობილია, შეხვედრაზე განხილვის მთავარი თემა ქვეყნის უსაფრთხოება და საგარეო საფრთხეების თავიდან აცილება იყო.

შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა რუსეთის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევას შესახებ კომენტარი გააკეთა. მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი გახშირებული ფაქტები, სამწუხაროდ, რეგულარული ხასიათისაა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ამ გახშირებულ ფაქტებს რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენას არ უკავშირებს და საქართველო მუდმივად აფიქსირებს პროტესტს ამასთან დაკავშირებით.

– ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, არსებული არხების საშუალებით, რომლებიც ევროპის დედაქალაქებში გვაქვს, მივაწოდოთ მოსკოვს ინფორმაცია, რომ სუვერენული ქვეყნის საჰაერო სივრცის ასეთი დარღვევა მას არანაირად არ უმატებს პატივს და არ წერს ცივილიზებულ ქვეყანათა სიაში. – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადებით, შიდასტაბილურობა ყველას აღელვებს და ხელისუფლებას ამ თვალსაზრისით რაიმე შემაშფოთებელი აქცენტი არ აქვს.

მარგველაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინ შიდასტაბილურობის შენარჩუნება პრინციპული და აუცილებელია.

– ჩვენ ამ ეტაპზე რუსეთისგან რაიმე ღია დაპირისპირების შესაძლებლობას არ ვაფიქსირებთ და ღია საფრთხეს ვერ ვხედავთ. მიუხედავად ანალოგიებისა, რომელიც, სამწუხაროდ, 2008 წელს საქართველოში და უკრაინაში გვაქვს, ჩვენ ასეთ საფრთხეს არ ვხედავთ. რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რათა ასეთი საფრთხეების დამძლევი იყოს, ეს არის უფრო მეტი სტაბილურობა და ერთიანი პოზიცია საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

შეხვედრიდან გამოსულმა ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა ჟურნალისტებთან თავის სურვილზე ისაუბრა.

ექსპერტთა კლუბის წევრის სოსო ცისკარიშვილი პრეზიდენტ მარგველაშვილს უსურვებს, მისთვის მაინც არ გამომდგარიყვნენ თარსები და ის დიდხანს დარჩეს პრეზიდენტის თანამდებობაზე.

– მნიშვნელოვანია განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტებთან შეხვედრა. ეს პრაქტიკა ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა, თუმცა, რომ გითხრათ, ბოლო კეთილი იყო, ვერ დავიტრაბახებ. ამიტომ, მინდა ვუსურვო პრეზიდენტს, რომ მისთვის მაინც თარსები არ გამოვმდგარიყავით და დიდხანს ყოფილიყოს ამ თანამდებობაზე. – განაცხადა ცისკარიშვილმა.

ექსპერტის თქმით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, სასიამოვნო თემები არ იყო განხილული.

– რადგან ჩვენს ქვეყანას იმდენი შინაური თუ გარეული გამოწვევა აქვს, 24-საათიან რეჟიმში მოგვიწევს მუშაობა. ჩვენ ვეცდებით, შეხედულებებში გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, ვიყოთ მოქალაქეები ჩვენი ქვეყნის და დიდი ალბათობით ყველანი შევთანხმდებით იმ პერსპექტივის შეფასებისას, რომელიც სასიკეთო იქნება ქვეყნისათვის. ცხადია, ჩვენ უნდა ვიყოთ მიყურადებული იმ საფრთხეების მიმართ, რომლებიც ზედაპირზე დევს, – განაცხადა სოსო ცისკარიშვილმა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა ექსპერტი მამუკა არეშიძე. სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, უკრაინაში პროცესები ბევრად უფრო ღრმადაა წასული, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

– პრაქტიკულად, უკრაინის თითქმის 2/3 ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის ჯგუფი იმყოფება, რომელთა იდენტიფიცირება შეიძლება, როგორც რუსული სამხედრო ან სადაზვერვო სტრუქტურის თანამშრომლებისა. ასე რომ, დღეს უკრაინაში უაღრესად რთული ვითარებაა. რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებულ ანალოგიებს, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, სხვადასხვა ფორმით მუდმივად საფრთხის ქვეშაა. ეს დამოკიდებულია როგორც გარეშე ფაქტორებზე, ისე შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე. – განაცხადა მამუკა არეშიძემ.

რაც შეეხება ჟურნალისტების შეკითხვას, მოსალოდნელია თუ არა რუსეთისგან განსაკუთრებული საფრთხე ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე, მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ ნატოს სამიტის მოახლოების შემთხვევაში საფრთხე გაიზრდება.

– მივიჩნევ, რომ ნატოს მოახლოებულ სამიტთან დაკავშირებით ბევრად უფრო აქტიური იქნება საფრთხე, ბევრად უფრო აგრესიული და გარდაუვალიც იმ გადასახედიდან, რაც დღეს უკრაინაშია, თუ იქ სიტუაცია არ შეიცვალა, თუ დასავლეთი ბევრად უფრო მკაფიო, გასაგები და აგრესიული არ გახდა. – გვითხრა მამუკა არეშიძემ.

ხოშტარიას აზრით, მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუდმივი დიალოგი იყოს.

– ის, რაც ხდება უკრაინაში, რასაც რუსეთი მთლიანად რეგიონში ახორციელებს, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენს დღევანდელ დღესთან და, ბუნებრივია, ამაზე ვისაუბრებთ. მე ასევე მექნება კითხვები, რამდენად თანმიმდევრულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და არის თუ არა ის საკმარისად აქტიური, ასევე რამდენად უწყობს ხელს შიდაპოლიტიკური პროცესები საფრთხეების თავიდან აცილებას. – განაცხადა ელენე ხოშტარიამ.

სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა ექსპერტმა თეონა აქუბარდიამ კი შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ინიციატივით დაგეგმილ შეხვედრაზე იმ გამოწვევებზე აპირებს საუბარს, რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველო.

# ცესკო არჩევნების ჩასატარებლად მზადაა

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პრეზიდენტის განკარგულება თვითმმართველობის არჩევნების მიმდინარე წლის 15 ივნისს გამართვასთან დაკავშირებით, ოფიციალურად მიღებულია.



ცესკო-ს ინფორმაციით, 15 ივნისის არჩევნების შედეგად 71 საკრებულო - საერთო რაოდენობით 2,088 საკრებულოს წევრი, 12 ქალაქის მერი და 59 მუნიციპალიტეტის გამგებელი აირჩევა.

ცესკო-ს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას განცხადებით, წლევანდელ თვითმმართველობის არჩევნებზე მარკირება კვლავ იმოქმედებს. მისი თქმით, თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩეველთა სამაგიდო სიებში მოქალაქეების ფოტო-სურათი იქნება დაფიქსირებული. ცესკო-ში რეგისტრაცია ამ დროისთვის ერთმა პარტიამ გაიარა. პოლიტიკურ სუბიექტებს ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის გავლა არჩევნებამდე 30 დღით ადრე შეეძლებათ. ცესკო-ში აცხადებენ, რომ არჩევნებს, ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებიც გაუწევენ მონიტორინგს.

რაც შეეხება ბიულეტენებს, მათი ბეჭდვა კანდიდატების რეგისტრაციისა და მათთვის საარჩევნო ნომრის მინიჭების შემდეგ დაიწყება.

ნიუსპრესი

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთს უკრაინის მიერთება არ სჭირდება“

გულიკო ბალაძე

**ინტერვიუ საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელთან, ყოფილ პოლიტპატიმარ ვახტანგ მაისაიასთან**

*– ბატონო ვახტანგ, ერთ-ერთი მაღალი დონის შეხვედრაზე ვილნიუსში პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ ევროპა საქართველოს მხარში არ დაუდგება, ჩვენს ქვეყანას ძალიან მძიმე დღეები შეიძლება დაუდგეს. მგონი, საქართველოს რუკიდან გაქრობის საფრთხეზე იყოს საუბარი. კონკრეტულად, ეს საფრთხეები რეალურია?*

– დიახ. ეს დავით უსუფაშვილმა თქვა ვილნიუსში ევროკავშირის ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების ფორუმზე. აბსოლუტურად ვიზიარებ მის შეშფოთებას. რეალური საშიშროება არსებობს. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა მოხვდნენ მოწყვლად ეროვნულ გეოსტრატეგიულ არეალში, რომელიც დღეს არის ე.წ. სანიტარიული დერეფანი, რომლის კონტროლზე მიდის გაფთრებული ბრძოლა ანუ ბრძოლაა დიდი გავლენის გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის. მთავარი მოთამაშეა რუსეთის ფედერაცია და დღევანდელი რუსეთის ხელისუფლება. სიტუაცია ძალიან წააგავს 1921 წლის იანვრის პერიოდს, როდესაც საქართველო მარტო იყო, ერთა ლიგამ არ მიიღო. მაშინ ბრიტანეთმა დატოვა კავკასია. იტალიამ აიღო დაცვის ფუნქცია, მაგრამ ის ამ ფუნქციას ვერ შეასრულებდა იმ პერიოდში, რომ დაეცვა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1921 წლის ზაფხულში პოლონეთის დამოუკიდებლობა ძლივს შეინარჩუნეს. ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და გაერთიანებული ანტანტის ძალებმა ძლივს შეაჩერეს ისედაც გავერაგებული წითელი არმია.

*– ახლა საქართველო ხომ გაეროს წევრია და ევროკავშირშიც წევრიანდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ვერ აკავებს რუსეთს.*

– მერე რა, რომ საქართველო გაეროს წევრია და რეზოლუციები კეთდება. სამართლებრივი და გეოპოლიტიკური მოდელების სპეციფიკა ცოტა განსხვავებულია. გაეროს გადაწყვეტილებას უშიშროების საბჭო იღებს, რომლის მუდმივი წევრები არიან, დავუშვათ, იგივე რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც სტრატეგიული მოკავშირეები არიან. ჩინეთმა რუსეთს, ფაქტობრივად, მხარი აუბა და უპირისპირდება ამერიკა-ევროკავშირს. ძირითადად ამერიკაზეა საუბარი და სულ სხვა გადათამაშებები მიდის.

*– ცოტა ხნის წინ ვფიქრობდი, რომ რუსეთი უკრაინასთან კისერს წაიტეხდა, მაგრამ ასე არ მოხდა.*




– სამწუხაროდ, ეს მოსალოდნელიც იყო. აქ სულ სხვა ფაქტორები მოქმედებდა. ერთ-ერთი ფაქტორი ის იყო, რომ იანუკოვიჩმა უკრაინის სახელმწიფოებრიობის საფუძველი მთლიანად მოშალა. ეს მან გააკეთა შეგნებულად. იანუკოვიჩმა მოშალა შეიარაღებული ძალები სამხედრო თავდაცვისუნარიანობა; მოშალა სპეცსამსახურების ეფექტური საქმიანობის უნარიანობა.

*– იანუკოვიჩს ეს დაგეგმილი ჰქონდა?*

– ვერ გეტყვით, რომ დაგეგმილი ჰქონდა, მაგრამ შეგნებულად კეთდებოდა. წინა პრეზიდენტის, იუშჩენკოს პერიოდშიც თავდაცვის პოლიტიკას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. არმია ყველაზე დაბალანაზღაურებად და საზოგადოების ყველაზე მიგდებულ სტრუქტურას წარმოადგენდა. კორუფციის მაღალმა მაჩვენებელმა, საბჭოთა მენტალიტეტისა და საბჭოთა დროინდელი აზროვნების წარმონაქმნების არსებობამ სერიოზული ზიანი მიაყენა უკრაინის თავდაცვისუნარიანობას. ამიტომ დღეს უკრაინაში სანთლით ეძებენ ბრძოლისუნარიან მეომრებს, რომლებსაც შეუძლიათ, სეპარატისტებს საკადრისი პასუხი გასცენ. დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც იყო საქართველოში აფხაზეთის ომის პერიოდში. მაშინაც საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ელემენტარული საბრძოლო მოქმედებები ეწარმოებინა. ასე რომ, საბოტაჟი იყო უუნარობაც.

*– უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება არანაირ ზომებს რომ არ მიმართავს ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. ეს უუნარობის ბრალია?*

– შეიარაღებული ძალების ერთი ხელის მოსმით ბრძოლისუნარიან მდგომარეობაში მოყვანა არ ხერხდება. შეიარაღებულ ძალებს მშენებლობა წლობით სჭირდებათ. ამიტომ მოგიყვანეთ საქართველოს მაგალითი. საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა 1998 წლიდან დაიწყო, როდესაც თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე გახლდათ. მაშინ შეიცვალა დასავლეთისკენ კურსი. მაშინ დაიწყო ახალი

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა კოჭოჭაშვილი

# დაკითხავს თუ არა პროკურატურა დეპუტატ კახა ოქრიაშვილს

დმანისის მკვიდრი ვლადიმერ ბერუაშვილი დეპუტატ კახა ოქრიაშვილს მისი შვილის – დიმიტრი ბერუაშვილის გატაცებაში პირდაპირ ხელს ადებს და აცხადებს, რომ სწორედ დეპუტატმა და მისმა ძმამ, გაგა ოქრიაშვილმა მისცეს „ნაკოლი" გამტაცებლებს მის შვილზე.

ბერუაშვილი ამბობს, რომ არ გაჩერდება, ვიდრე ყველა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენებით მისი შვილის გამტაცებლები შესაბამისად არ დაისჯებიან. ბერუაშვილის თქმით, გატაცება მოხდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ და დამკვეთიც და შემსრულებელიც კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს, იმის მიუხედავად, დღეს ვინ რა თანამდებობაზე იმყოფება.

– როცა ეს ფაქტი მოხდა, კახა ოქრიაშვილი ჯერ დეპუტატი არ იყო. ჩემი შვილი, დიტო, კახა ოქრიაშვილის ძმასთან მეგობრობდა. ტოგო კარიაული, რომელიც ჩემი შვილის გატაცებაში მონაწილეობდა და კახა ოქრიაშვილი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობდნენ. დარწმუნებული ვარ, მე რომ ფული მივეცი იქედან, ნაწილი კარიაულს, მისცა ნაწილი კი თვითონ წაიღო. ეჭვნიან, რადგან წლების წინ დმანისში ალბასკიში თავმჯდომარე ვიყავი, დიდი ფული მქონდა. იფიქრეს, დიდი სანათესაო ჰყავს, ფულს შეაგროვებენ და გადაიხდიანო. მე იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის სამინისტროში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ვიყავი. ერთ დღეს ჩემს კაბინეტში მოვიდა უკვე დეპუტატი ოქრიაშვილი და მითხრა, ტყუილად აწვალებ შენი შვილის გატაცებაში კარიაულსო. თუ ტყუილად ვაბრალებ, მიჩივლოს-მეთქი. პირში ვუთხარი, შენ მიეცი „ნაკოლი"-მეთქი. ადგა და გაიქცა. როცა ჩემს მანქანაში ფული გადავეცი, ტოგო კარიაული ჩამიჯდა გვერდით, უკან კი ვიღაც, რომელმაც პისტოლეტი მომადო. თუ კუდი გყავს აყოლილი, შენ აქ მოგკლავთ და იქ კი შენს შვილსო. ამოცნობის დროსაც ამოვიცანი კარიაული. უნდა დამერტყა და ამის საშუალება არ მომცეს. კარიაული ჩემმა შვილმაც ამოიცნო. – აცხადებს ვლადიმერ ბერუაშვილი, რომელიც ათეულ წელზე მეტია, საჩივარს საჩივარზე წერს და მისი შვილის გამტაცებლების დასჯას ითხოვს.



ალსანიშნავია, რომ ვლადიმერ ბერუაშვილმა, რომელიც ამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მოქმედ დეპუტატს ამხელს, უკვე მიმართა განცხადებით ბადაშვილის უწყებას. დაზარალებული ამბობს, რომ სამის გამოძიება გამიზნულად ჭიანურდება წლების მანძილზე.

ვლადიმერ ბერუაშვილი ახლა უკვე ყოფილი პრემიერის – ბიძინა ივანიშვილის და მთავარი პროკურორის სახელზე გაგზავნილ განცხადებებში წერს, რომ მისი შვილის გატაცების საქმის გასახსნელად აუცილებელია დეპუტატ კახა ოქრიაშვილის ხელახლა დაკითხვა, რადგანაც მას საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მას ამ საქმესთან კავშირი აქვს.

საქმეში სამართლებრივი კუთხით არსებულ ვითარებაზე გავესაუბრეთ ვლადიმერ ბერუაშვილის ინტერესების დამცველ ადვოკატ ქეთევან ბახტაძეს.

***– ქალბატონო ქეთევან, საკმაოდ ბევრი კრიტიკა ისმის სამართალწარმოებასთან მიმართებაში. თქვენს წარმოებაში მყოფი საქმეებიდან გამომდინარე რას იტყვით, გამოიკვეთა წინსვლა სისხლის სამართლის საქმეების კვალიფიციურად წარმოების კუთხით?***

– ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ვხედავთ მცდელობას, როგორმე სამართალწარმოების სისტემა გაჯანსაღდეს, თუმცა ხარვეზები დღესაც შეიმჩნევა. სამწუხაროდ, პროკურატურაში არის ისეთი საქმეები, რომლებიც წლების განმავლობაში შეჩერებული იყო, ან შეწყვეტილი. მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმოების შეჩერება შეჩერება დღევანდელი საპროცესო კოდექსით აღარ არის, მაგრამ თაროზე შემოდებულ საქმეს და შეჩერებულ საქმეს შორის რა განსხვავებაა, ვერ ვხედავ, რამეთუ ცოცხალია თითქოს საქმე და მოქმედია, მაგრამ მის გასახსნელად არაფერი კეთდება. მაგალითისთვის დაზარალებულ ვლადიმერ ბერუაშვილის საქმეს მოვიყვან, რომლის სტუდენტი შვილი, დიმიტრი ბერუაშვილი წლების წინ შეიარაღებულმა პირებმა ფულის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს. საქმეში ჩანს მესამე პირიც, ვინც ტელეფონით იძლეოდა განკარგულებას და მუდმივად კავშირში იმყოფებოდა გამტაცებლებთან. ეს არის ტრეფიკინგის ის ფორმა, როდესაც ანალოგს ვერ მოუნახავ. სამი დღე გყავდეს დამწყვდეული პიროვნება, ჩაკეტილი, ხელბორკილდადებული. არანაირი პირობები, არ მისცეს საშუალება, ოჯახს დალაპარაკებოდა, რაიმე ეთქვა თავისი მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს დიმიტრი ბერუაშვილი, რომ ოჯახისაგან საკმაოდ დიდი გამოსასყიდი მიიღეს იმ წერილის საფუძველზე, რომელიც გატაცებულს მშობლების სახელზე მიაწერინეს. წერილში ეწერა, რომ პოლიციისთვის არ შეეტყობინებინათ გატაცების ამბავი. საშიში წლები იყო და იოლად შეიძლებოდა იმის გათვლა, რომ სამართალდამცავი ორგანოები არაფერს გააკეთებდნენ. შვილის სიკვდილის შიშით მშობლებიც რაღაც ეტაპზე გაჩუმდნენ, პოლიციისთვის გატაცების ფაქტი არ შეუტყობინებიათ და ფულის შეგროვება დაიწყეს. გატაცებულის მამამ, იმის გამო, რომ მისი შვილი არ მოეკლათ, გამტაცებლებს დაახლოებით 300.000 რუსული რუბლი, როდესაც 1 რუსული რუბლი თითქმის 1 დოლარს უტოლდებოდა და მაგდენივე თანხის ოქრო – 200 ათასის ძვირფასეულობა მიუტანა. ოჯახმა ეს თანხა მოაგროვა ნათესავებში, მეზობლებში და ა.შ. ამ ოჯახს დღემდე აქვს სიები შემორჩენილი, ვინ დაეხმარა მათ იმ პერიოდში, როდესაც მათი შვილი სიკვდილის პირას იყო.

***– პროკურატურას გაუჭირდა საქმის გახსნა თუ კონკრეტული პირის ინტერესები გატარდა და ამიტომ დარჩა საქმე გაუხსნელი?***

– კონკრეტული პირის ინტერესები გატარდა. ბერუაშვილის ოჯახი დარწმუნებულია, რომ ამ საქმეში გარეულები იყვნენ ის პიროვნებები, რომლებსაც დღესაც საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავიათ, საკანონმდებლო ორგანოში არიან, „ზრუნავენ" ხალხის კეთილდღეობაზე; ისეთი კანონები მიიღონ, თითქოს ხალხის ინტერესები დაიცვან, მაგრამ თვითონ აქვთ ფეხი გასვრილი ისეთ დანაშაულში, რასაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჰქვია.

***– კონკრეტულად ვის გულისხმობთ?***

– მოგახსენებთ. გატაცებიდან გარკვეული დროის შემდეგ დაზარალებულმა დიმიტრი ბერუაშვილმა თვითონ ამოიცნო გამტაცებელი, თან სიტუაციაც ქვეყანაში შედარებით დალაგებული იყო, ამ გატაცების ფაქტის გახმაურება და დამნაშავეთა დასჯა გადაწყვიტა. მათ შს სამინისტროს საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირს მიმართეს, რომლიდანაც ინიციატივა მოდიოდა, რომ ეს დანაშაული გახმაურებულიყო. თვითონ დაუძახეს ვლადიმერ ბერუაშვილს შს სამინისტროში. დაიწყო კიდეც გამოძიება. გივი ჭიკაიძე ხელმძღვანელობდა თავის დროზე ამ საქმის გამოძიებას. მან დაავალა სხვა სამართალდამცავებს, კონკრეტულად, აწ გარდაცვლილ ჯუმბერ ხარაძეს, რომ დაეწყოთ საქმის გამოძიება. ხარაძე იმ დროს შსს-ში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი იყო და ძალიან ინერტულად თუ თავისთვის სასარგებლოდ დაიწყო საქმის გამოძიება. მოიძია მასალები, თვითნებურად ნახა გამტაცებელიც, რომელსაც პირდაპირ ადებდა ხელს დაზარალებული, ამან გამიტაცაო. აიყვანეს კიდეც ტოგო კარიაული, რომელიც დღეს კახა ოქრიაშვილთან მუშაობს. იქაც გარკვეული მაღალი თანამდებობა უკავია, ოქრიაშვილის ნათელ-მირონია და ახლობლები არიან, რომელსაც მფარველობას სწორედ ოქრიაშვილი უწევდა. გატაცებული ბერუაშვილი გამტაცებელმა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ნახა ზუსტად ოქრიაშვილის ძმის ოჯახში. აი, იქიდან წამოვიდა, ასე ვთქვათ, მითითება იმისა, რომ მომხდარიყო ამ პირის გატაცება. ფიქრობდნენ, რომ მას შეძლებული ოჯახი ჰყავდა და მშობლები შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ სერიოზულ თანხას გაიღებდნენ. საქმის მასალებიდან გამომდინარე პარლამენტის წევრი კახა ოქრიაშვილიც არის დაკითხული ბერუაშვილის გატაცების ფაქტზე, მისი ძმაც და გამტაცებელიც.

**ქეთევან ბახტაძე: „დამნაშავე პირები უნდა დაისაჯონ. კახა ოქრიაშვილი აუცილებლად დასაკითხია ბერუაშვილის გატაცების ფაქტზე. უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, მაგრამ ამ პირმა აუცილებლად უნდა გასცეს ყველა კითხვას პასუხი და, მის მიმართ თუკი დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, მან სრული პასუხისმგებლობით უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე"**

***– თქვენ რომ მიანიშნეთ, ზოგი დღეს საკანონმდებლო ორგანოშიაო. კახა ოქრიაშვილს გულისხმობდით?***

– სწორედ კახა ოქრიაშვილს ვგულისხმობ, რომელიც დღეს მაჟორიტარი დეპუტატია. დღეს, როდესაც თათუხაშვილის სიკვდილის ფაქტზე მკვეთრად და ხმამაღლა საუბრობენ დეპუტატები, თითქოს სიკვდილის კვალი დღევანდელ სამართალდამცავ ორგანოებთან მიდის, რატომ არ კითხულობენ, მათ რიგებში ვინ არიან?! რატომ არ კითხულობენ, შეიძლება კი, მათ მსგავს ფაქტებზე ასეთი გონორით ისაუბრონ, როდესაც მათ გვერდში დგანან ანალოგიური დამნაშავეები?! ამ შემთხვევაში დეპუტატი ოქრიაშვილი სისხლის სამართლის დამნაშავეა თუ არა, ეს სამართალდამცავებმა უნდა დაადგინონ. მე უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ. მაგრამ ოჯახს სერიოზული ეჭვი აქვს, აქვს ფაქტები და დაკითხულებიც არიან ბერუაშვილის გატაცების საქმეზე ოქრიაშვილი და მისი ძმა. დაკითხვის შემდეგ ისე მოხდა, თითქოს ნაადრევად დააკავეს კარიაული. ამ დროს 1997 წლის 1 ივლისს ჩემს მარწმუნებელს განცხადება აქვს დაწერილი და მხოლოდ 3 ივლისს აღძრავენ სს საქმეს. იმ კარიაულის დაკავება 1 ივლისს ხდება და ფაქტია, რომ იმ დღეს სს საქმე არ იქნა აღძრული. იმდროინდელი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, პირის უკანონო დაკავებად ეთვლებოდა და გაუშვეს. საქმეში მეორე პირიც ფიგურირებს, რომელსაც საზღვარგარეთ აგზავნიან ანუ ხელს უწყობენ ქვეყანა დატოვოს. ეს ადამიანი დღემდე საზღვარგარეთაა. ამასთან, ექსპერტიზა ცალმხრივად არის ჩატარებული ბერუაშვილის სახელით მოწერილ წერილზე. კითხვა ასეთია, ეს ხომ არ არის კარიაულის ხელით დაწერილი წერილი და მისი კალიგრაფია? რატომ მარტო კარიაული?! საქმეში აშკარად ფიგურირებს გოდერძი ციხელაშვილიც. საქმეში ისე ჩანს, თითქოს გატაცებულს საჭმელსაც აჭმევდნენ, მაგრამ სინამდვილეში ტერორში ჰყავდათ და სიკვდილით ემუქრებოდნენ, თუ ოჯახი მის გამოსასყიდს არ გადაიხდიდა. თვალებახვეული წაიყვანეს და თვალებახვეული დააბრუნეს უკან. ამ ფაქტის შემდეგ დაზარალებულმა დიმიტრი ბერუაშვილმა საქართველო დატოვა და დღემდე ქვეყნის გარეთ იმყოფება. დაზარალებული ახალგაზრდა ფიქრობდა, რომ მისი გამტაცებლები: კარიაული, ან ოქრიაშვილი, ქუჩაში რომ შეხვედროდნენ, შეიძლება თავი ვერ შეეკავებინა და მომხდარიყო ან ანალოგიური დანაშაული, ან უფრო მეტი, მკვლელობა. ბერუაშვილის მამამ ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ შვილი მოსალოდნელი დანაშაულისთვის განერიდებინა.

***– ახალი ხელისუფლების პირობებში თუ მიმართა დაზარალებულმა მხარემ პროკურატურას საქმის ხელახლა გამოძიებისა და მისი უფლებების დაცვისთვის?***

– არა მარტო ამ ხელისუფლებას. როგორც კი სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, მას შემდეგ წელიწადში ოთხჯერ მაინც შეაქვს პროკურატურაში და სხვა უწყებებში დაზარალებულ ბერუაშვილს განცხადებები. ის ყველას მიმართავს გამოძიების ობიექტურად ჩატარებისთვის, მაგრამ ერთი ფურცელიც კი არ დამატებია იმ საქმეს, რომელიც 1997 წელს შეჩერდა თუ თაროზე შემოიდო. მხოლოდ ჩემი კლიენტის განცხადებებია, მიიღეთ ზომები, გამოიძიეთ, დააკავეთ. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ნებისმიერ ჩვენგანს გამოძიების მიმართ მეტი ნდობა გაგვიჩნდა; იმედი გაგვიჩნდა, რომ სიმართლე დადგინდება და ეს ყველაფერი არ დარჩება ასეთი მიჩქმალული. როგორც ადვოკატს მიმაჩნია, რომ თაროზე შემოდებული საქმეები უნდა გაიხსნას. უკვე რამდენიმე ათეულმა პირმა მიაღწია იმას, რომ მასთან მიმართებით სამართლიანობა აღდგენილიყო. ჩვენც დავწერეთ განცხადებები, საქმე კონტროლზეც აიყვანა პროკურორმა, თუმცა გამოძიება წინ არ მიდის. მე შევხვდი გამომძიებელს. რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, გამომძიებელმა მიმანიშნა, იცით, ეს საქმე არა ვაკე-საბურთალოს, არამედ ძველი თბილისის რაიონის განსახილველია და იქნებ განცხადება დაწეროთ, რომ როგორმე გადამისამართდესო. სასაცილოა ამ თემაზეა საუბარი, თავის დროზე ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ განიხილა და ამავე რაიონის სასამართლომ. ახლა, რა ხდება?! ფაქტობრივად, სს საქმე გამოძიებულია. ვინც საქმეში ჩაიხედავს, ნახავს საქმე გახსნილია, მაგრამ ცუდად გამოძიებული. არასწორად არის შეკერილი. აშკარაა, ვინ არის დამნაშავე, ვინ უნდა აგოს პასუხი, მაგრამ რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, ისინი ისევ თავიანთ თანამდებობებზე არიან.

***– თუ საქმე გამოძიებულია, დამნაშავეთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე არაღძვრის დადგენილება რატომ გამოვიდა?***

– არაღძვრის დადგენილება გამოსულია იმიტომ, რომ ვიღაცამ ასე ისურვა. თავის დროზე, როგორც კი ბერუაშვილმა აქტიურად მოითხოვა ამ დანაშაულის გახსნა, მაგრამ ზომები არავინ მიიღო, ჩატარდა ასე ვთქვათ, სამსახურებრივი მოკვლევა ანუ შსს-მ დაიწყო მოკვლევა მისი თანამშრომლების მიმართ, იმ გამომძიებლების მიმართ, ვინც შეგნებულად გააჭიანურა ეს საქმე; შეგნებულად გახსნა და თან არც გახსნა ეს საქმე. ჩემს თავს არ მივცემ უფლებას, რომ ამ „გახსნაში" რაღაც ვიფიქრო. მაგრამ, საქმის მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ეს სს საქმე, რომელიც უმძიმეს დანაშაულს ეხება, სპეციალურადაა გაჭიანურებული, შეგნებულად არიან პასუხისმგებლობას არიდებული და მიმალული ის პიროვნებები, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ხარაძის მიმართ გამოვიდა სს საქმის არაღძვრის დადგენილება.

***– დაკითხულია თუ არა ამ საქმეზე დეპუტატი ოქრიაშვილი ამ ხელისუფლების პირობებში? საქმის მასალებში არა მხოლოდ ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის და არჩილ კბილაშვილის, არამედ მთავარ პროკურორ ბადაშვილის სახელზე გაგზავნილი საჩივრებიც დევს.***

– არანაირი დაკითხვა არ მომხდარა ამ ხელისუფლების პირობებში ოქრიაშვილის. თუმცა, საქმის მასალებში არის მისი პირველი ჩვენება, როცა დაზარალებული მხარის ჩვენების საფუძველზე დაიკითხა 1998 წელს. მას მერე, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, მიუხედავად ბერუაშვილის არაერთი საჩივრისა, არც ერთი ფურცელი არ ერთვის საქმეს, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე მიანიშნებდა. ეს სს საქმე აუცილებლად უნდა განახლდეს. ხელახლა მოხდეს ამ ადამიანების დაკითხვა. საქმეზე უნდა შეგროვდეს ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საბოლოოდ ჭეშმარიტებას დაადგენს და რეალურ შედეგამდე მიგვიყვანს. დამნაშავე პირები უნდა დაისაჯონ. კახა ოქრიაშვილი აუცილებლად დასაკითხია ბერუაშვილის გატაცების ფაქტზე. უდანაშაულობის პრეზუმფციას ვერ დავარღვევ, მაგრამ ამ პირმა აუცილებლად უნდა გასცეს ყველა კითხვას პასუხი და, მის მიმართ თუკი დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, მან სრული პასუხისმგებლობით უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე, რამეთუ კანონის წინაშე ყველა ერთნაირად ვაგებთ პასუხს.

***– რა დაინტერესება უნდა ჰქონოდა ოქრიაშვილს ამ გატაცებით?***

– ვერ გეტყვით. ამის გარკვევა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმინდვია. მაგრამ ის, რომ მისი ოჯახიდან მოხდა გაცნობა ბერუაშვილის, ეს საქმიდან ჩანს. მთავარია, გამოძიება სწორად წარიმართოს და ყველაფერი გაირკვევა. საქმე არ არის ხანდაზმული. ხანდაზმულობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე 25 წლიან პერიოდს მოიცავს. დარწმუნებული ვარ, საქმე დაიშლება და სწორი გამოძიების პირობებში იოლად გავალთ დამნაშავეთა კვალზე. საქმეში ისეთი მტკიცებულებებია, რომ ამას თამამად ვამბობ. უმთავრესი ის არის, რომ საქმის გამოძიება ცალმხრივად არის წარმართული. მეორე დამნაშავის დაფიქსირება იმდენად არასრულყოფილია, რომ რა გითხრათ. თუმცა მეორე დამნაშავეც სახეზეა, თუ სერიოზულად ჩაიძირნენ, შეიძლება მესამეც გამოიკვეთოს. მაგრამ ის მეორე შეგნებულად, დანაშაულის „გახსნის" თუ ამოქმედების დღიდან საზღვარგარეთაა წასული ოჯახთან ერთად. სხვათა შორის, საქმეში წერილია, რომელიც ცხადყოფს, რომ დაზარალებულის მიერ დაწერილი წერილი ოჯახისადმი და იმ ერთ-ერთი გამტაცებლის წერილი ისევ ბერუაშვილების ოჯახისადმი, ძალიან ჰგავს ერთმანეთს ანუ ერთი კალიგრაფიაა. დარწმუნებული ვართ, ეს ერთი ადამიანის ხელითაა დაწერილი. ამას კალიგრაფიული ექსპერტიზა იოლად დაადგენს. პროკურატურას ამ პირის – ციხელაშვილის ექსტრადირებაც შეეძლო და ინტერპოლით მოძებნაც, მაგრამ არაფერი გააკეთა.

ალნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ დეპუტატ კახა ოქრიაშვილს.

– სურვილი არ მაქვს, ამ საკითხზე ვისაუბრო და უკომენტაროდ ვტოვებ. – განგვიცხადა დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0. ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# პარლამენტმა პოლიტპატიმრების ახალი სია შეადგინა

## პროკურატურას 31 საქმის განხილვა მოუწევს

შორენა მარსაგიშვილი

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ საკანონმდებლო ორგანო პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების ახალ სიაზე მუშაობდა. 2012 წელს პარლამენტმა ერთხელ უკვე მიიღო დადგენილება, რომლის წყალობითაც 190 ადამიანი პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლდა. 20 ადამიანმა კი პოლიტდევნილის სტატუსი მიიღო.

ძველი ხელისუფლების გარდა, ეს გადაწყვეტილება ყველამ დადებითად შეაფასა. ამ სიაში წესით კიდევ ბევრი ადამიანი უნდა შეეყვანათ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მათ ადვოკატებს დააგვიანდათ განცხადებების შეტანა.

ამ საკითხებზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი მუშაობდა. კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განმარტება გააკეთა. მისი განცხადებით, ახალი სიის შემუშავება რამდენიმე თვეში დაიწყებოდა.

პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას ის ადამიანებიც ითხოვდნენ, რომლებიც ციხიდან მანამდე გამოვიდნენ, ვიდრე პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო. კომიტეტმა საქმეების შესწავლაც დაიწყო, მაგრამ მერე დეპუტატები გაჩერდნენ.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ საქმეში დასავლეთი ჩაერია. მათ ინტერესებში სულაც არ შედიოდა, საქართველოში ადამიანებს პოლიტპატიმრის სტატუსი მიეღოთ. ისინი ხომ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებდნენ და წლების მანძილზე მფარველობდნენ.

ახე იყო თუ ისე, პარლამენტმა ამ მიმართულებით საქმიანობა დროებით შეაჩერა. არადა, საკანონმდებლო ორგანოში ასეულობით განცხადება იყო შესული. რამდენიმე კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა ამ მიმართულებით მუშაობა განაახლა. ეს ინფორმაცია ეკა ბესელიამ დაადასტურა. გუშინ კი იმ ადამიანების ვინაობა გახდა ცნობილი, ვისაც პარლამენტი პოლიტპატიმრად და პოლიტდევნილად მიიჩნევს.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი სულ 31 საქმეში ხედავს პოლიტიკურ მოტივს, რომელთა გამოძიებას სთხოვს პროკურატურას.

— მას შემდეგ, რაც პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საქმეების შემსწავლელ კომისიას ვადა გაუვიდა, კომიტეტში დამატებით 200-ზე მეტი განცხადება შევიდა, სადაც მოქალაქეები მიუთითებდნენ სამართალწარმოების პოლიტიკური ნიშნით განხორციელების შესახებ. მისივე განმარტებით, ეს პირები ითხოვდნენ, ისინიც ეღიარებინათ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და ძებნილ პირებად. კომისია იგივე ფორმატით და მანდატით მუშაობას ვერ გააგრძელებდა, მაგრამ, ბუნებრივია, ამ განცხადებებს რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებდით. ჩვენ მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში შესწავლილ იქნა თითოეული ასეთი განცხადება და ცალკე გამოიყო ის საქმეები, სადაც იკვეთება პოლიტიკური მოტივის შესაძლო არსებობა, მაგრამ აუცილებელია შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელება ამ გარემოებების გამოსარკვევად, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

აი იმ ადამიანების სია, რომელთა საქმეებიც პროკურატურამ უნდა განიხილოს: მინდია ქაშიბაძე, გულნარა ჯინჯოლავა, თემურ ბასილია, ბესიკ ლვამბერია, თამაზ ქანთარია, თორნიკე ხადაია, ვასილ პატარქალიშვილი, ლაშა შანიძე, შალვა შანიძე, გოჩა ძასოხოვი, ბესიკ მარგიანი, თამილა ბენია, მალხაზ კაკაშვილი, ავთანდილ ძაძუა, მანუჩარ ძაძუა, გივი დუმბაძე, ზურაბ ლობჟანიძე, გელა შარაძე, გიორგი მგალობლიშვილი, ვაჟა მუსალბიშვილი, პაატა პატარიძე, ირაკლი დობორჯგინიძე, გოჩა ჯაველიძე, თამაზ ვაშაკიძე, მამუკა ბაკურაძე, ოთარ ზაქაიძე, ნანა გვეტაძე, ვახტანგ ნანავა,



ალექსანდრე სილაგაძე, მალხაზ ჩიხლაძე და ემზარ კვიციანი. ყველა მათგანს საინტერესო ისტორია აქვს. ისინი უკვე წლებია საკუთარი სიმართლის დადგენას ცდილობენ. ახლა ჯერი პროკურატურაზეა. პარლამენტი მათ საქმეში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს.

სიმართლის დასამტკიცებლად საქართველოში თებერვლის ბოლოს ემზარ კვიციანი თავისი ნებით დაბრუნდა. ის სამშობლოდან 2006 წლის ივლისში გაიქცა. იქიდან მოყოლებული, მასზე ძებნა იყო გამოცხადებული. ხელისუფლების შეცვლისთანავე მან განცხადება გააკეთა, თქვა, რომ მზად იყო სამართალდამცავებს ჩაბარებოდა და თავისი სიმართლე დაემტკიცებინა. ჩამოვიდოდა კიდეც, მაგრამ საბუთები არ ჰქონდა და რუსეთიდან ამის გამო ვერ მოდიოდა. საქართველოს ხელისუფლება კი მას პასპორტს არ აძლევდა.

ამდენი ლოდინით კვიციანი შეწუხდა და საქმე სვანურად მოაგვარა. მან რუსეთის ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლა და დეპორტი მოითხოვა. სასამართლომ დეპორტი ჩაურტყა. ის საქართველოში 27 თებერვალს ჩამოვიდა. კვიციანი აეროპორტშივე დააკავეს. მას ორთვიანი პატიმრობა 2006 წელს სასამართლომ დაუსწრებლად შეუფარდა.

ეს განაჩენი ახლაც ძალაში დატოვეს. სასამართლომ არც 30 გენერლის შუამდგომლობა გაითვალისწინა, რომლებიც კვიციანს თავდებში დაუდგნენ. სამაგიეროდ, პროკურატურის მოთხოვნა მიიტანეს გულთან ახლოს. ისინი ამბობდნენ, კვიციანი თუ გაუშვით, შეიძლება მიიმალოსო. არადა, კაცმა სასამართლოს ძალით მოიპოვა დეპორტი, აქ რომ ჩამოსულიყო.

ახლა მისი საქმე პროკურატურამ უნდა განიხილოს. მას კოდორის ხეობის შესახებ ბევრი საინტერესო რამის თქმა შეუძლია. ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რა მოხდა 2006 წლის ივლისში კოდორში.

არანაკლებ საინტერესო ისტორია აქვს ბიზნესმენ გოჩა ძასოხოვს, რომელსაც სააკაშვილმა ჯერ ჩვენი დროის გმირი უწოდა, მერე კი მოღალატედ შერაცხეს. არადა, ამ კაცს საქართველოსთვის უამრავი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული.

ნაციონალებისთვის ის მიუღებელი ერთი მიზეზის გამო გახდა. მან უარი თქვა, გამხდარიყო სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის პრეზიდენტი. მისი უარის შემდეგ მოუწიათ ამ პოსტისთვის დიმა სანაკოევის მოძიება. ძასოხოვი სააკაშვილს უმტკიცებდა, რომ დროებითი ადმინისტრაციის შექმნით საქმე მხოლოდ გაფუჭდებოდა. სააკაშვილი ვერ გადაარწმუნა და ცუდადაც გადაიკიდა. მას ჯერ ფინანსური პოლიცია მიუსიეს, მერე კი საქართველოში დაბრუნების უფლება აღარ მისცეს.

2008 წლის აგვისტოში ის ქართულ დელეგაციასთან ერთად პეკინის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა. ამ ოლიმპიადას აგვისტოს ომი დაემთხვა. ეს კარგად გამოიყენა საქართველოს ხელისუფლებამ. იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა განაცხადა, ძასოხოვი ქართულ სოფლებში ცხინვალის მხრიდან შევიდა და იქაურობას აწიოკებსო.

არადა, იმ დროს ძასოხოვი პეკინში იყო და როგორც ფილას სენატორთა კლუბის წევრი, მოჭიდავეებს აჯილდოვებდა. ეს ხელისუფლებამაც კარგად იცოდა. ამის მიუხედავად, ის მაინც მტრად შერაცხეს და საქართველოში დაბრუნების უფლება არ მისცეს.

თბილისში დაბრუნების უფლება არც მის მეუღლეს და 5 შვილს მისცეს. მათი სახლი დღემდე დაყადაღებულია. მისი ქონება კი გასხვისებული.

ნაციონალების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი თამაზ ვაშაკიძე იყო. ის პოლიტიკურ პროცესებში არ ჩარეულა, მაგრამ გაქცევამ მაინც მოუწია. ის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი იყო. ვარდების რევოლუციას შემდეგ საქართველოში დაბრუნდა ნინო ანანიაშვილი. ნაციონალებმა მისი დასაქმება გადაწყვიტეს. ყველაზე მისაღებ თანამდებობად ქორეოგრაფიული სასწავლებელი მიიჩნიეს.

კულტურის მაშინდელმა მინისტრმა გოკა გაბაშვილმა თამაზ ვაშაკიძე დაიბარა და თანამდებობის დატოვება მოსთხოვა. უთხრა, რომ ეს პოსტი ანანიაშვილისთვის უნდოდათ. გოკა გაბაშვილმა ისიც დასძინა, რომ გაჯიუტების შემთხვევაში მას პრობლემები შეექმნებოდა.

ვაშაკიძემ თანამდებობა არ დატოვა. ნაციონალებმაც არ დააყოვნეს და საქმე აღუძრეს. ვაშაკიძე იძულებული გახდა, ქვეყნიდან წასულიყო. ის საქართველოდან 2004 წელს გაიქცა. მას ქორეოგრაფიულ სასწავლებელში რაღაცის გაფლანგვას აბრალებდნენ.

არადა, მთელმა თბილისმა იცის, რომ მან საკუთარი სახლი გაყიდა, ქორეოგრაფიულში რემონტი რომ გაეკეთებინა.

სხვა ადამიანებსაც საინტერესო ისტორიები აქვთ. ყველა მათგანს სერიოზული პრობლემები შეექმნა. პარლამენტი მიიჩნევს, რომ მათი საქმეები პოლიტიკურად მოტივირებულია. ახლა ჯერი პროკურატურაზეა.

# რა არჩევანის წინაშე დგას ხელისუფლება

შორენა მარსაგიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია: „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ახლო მომავალში რუსეთიდან დიდი საფრთხე ემუქრება.



მისი თქმით, ევროკავშირის გადაწყვეტილებას საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის, აგვისტოს ნაცვლად ივნისში გადმოტანის შესახებ, სავარაუდოდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის ახალი ტალღა უნდა მოჰყვეს. რეალურად საქართველო უახლოეს მომავალში დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

რატომ არის დასავლეთისთვის ღარიბაშვილი მიუღებელი და რა არჩევანის წინაშე დგას ქვეყანა, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ზვიად ტომარაძე ესაუბრება:

— სამწუხაროდ, დასავლეთისთვის საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის პერსონა უფრო მისაღებია, ვიდრე „ტრადიციული ოჯახის ქომაგი“ ირაკლი ღარიბაშვილი! ევროკავშირმა გადაწყვეტა საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულება აგვისტოს ნაცვლად ივნისში გააფორმოს. სავარაუდოდ, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის ახალი ტალღა უნდა მოჰყვეს.

***— რამდენად სერიოზულია ეს საფრთხე?***

— საქართველო უახლოეს მომავალში შესაძლოა დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. ვითარება რთულია, მაგრამ გამოსავალი არსებობს.

***— რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ეს საფრთხე თავიდან რომ აიცილოს?***

— საქართველოს ხელისუფლებას დღეს 3 არჩევანი აქვს. პირველი, არსებული კურსის გაგრძელებაა. საქართველოს ნატოს წევრად გახდომასთან დაკავშირებით თავის მოტყუება, ევროსტრუქტურებში დაჩქარებული ინტეგრაცია და დასავლეთის იმედად ყოფნა. რასაც რუსეთის მხრიდან კიდევ უფრო მეტად გააქტიურება მოჰყვება. რაც შესაძლოა ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) რეფერენდუმის გზით რუსეთთან მიერთებაში აისახოს. გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი არც ამით დაკმაყოფილდეს და საქართველოში მორიგი სამხედრო ინტერვენცია განახორციელოს. ჩრდილოელი მეზობლის სათადარიგო ვარიანტში ჯავახეთში სიტუაციის დაძაბვაც შედის. ცნობილია ჯავახეთის სომხური მოსახლეობის პრორუსული ორიენტაცია და მათი ნეგატიური დამოკიდებულება საქართველოს ნატოში გაწევრიანებისადმი. თვალნათლივ იგრძნობა რუსეთის გააქტიურება თბილისშიც. კერძოდ, ერთკვირიან ინტერვალში გაიმართა რამდენიმე პრორუსული აქცია, რჩება იმის განცდა, რომ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. დასავლეთი, როგორც ბოლო წლებში სჩვევია, უკრაინაში განვითარებული პროცესებისადმი მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთებით შემოიფარგლა და არც ჩვენს შემთხვევაში „გაიქცევა“ შეშფოთების იქით. ბუნებრივად ისმის კითხვა, მაშ ჩვენ ვის იმედზე ვართ? გვილირს კი აღნიშნული „პერსპექტივები“ ევროსტრუქტურებში გაწევრიანების სანაცვლოდ?

მეორე არჩევანი შემდეგია, არსებული კურსის გაგრძელებასთან ერთად, გამალებული მზადება რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად. მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

***— კერძოდ?***

— უშიშროების სამსახურის ცალკე სამინისტროდ გამოყოფა; ავღანეთიდან ჯარის გამოწვევა; საყოველთაო სავალდებულო სამსახურის აღდგენა; დასავლეთისგან სამხედრო ტექნიკით დახმარების მოთხოვნა (განსაკუთრებით ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებით); რუსეთის წინააღმდეგ მოკავშირეების ძებნა ჩრდილო-კავკასიაში თუ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში; ტელე-სივრცეში უზნეობის და თურქული სერიალების ჩანაცვლება „პატრიოტული თემატიკით“ (ე.წ. პროპაგანდით); ანუ მოკლედ, მზადება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთთან პარტიზანული ომისათვის... ვართ კი ამისთვის მზად? მორალურად, ეკონომიკურად ან სამხედრო კუთხით? არის მესამე არჩევანიც. ეს გახლავთ არსებული კურსის გადახედვა, უარის თქმა ყოველგვარ სამხედრო გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით (ე. წ. ევენტუალური ნეიტრალიტეტი). მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ბარაკ ობამას ამასწინანდელ განცხადებას, რომ საქართველო არ დგას ნატოს გზაზე; აშშ-ს თავდაცვის ყოფილი მდივნის რობერტ გეითსის განცხადებას, რომ „საქართველოს და უკრაინის ნატოში მიწვევა იყო გაზვიადება...“ ბუნებრივია, ხელისუფლებისგან ასეთი თამამი ნაბიჯის გადადგმა ნაკლებად სავარაუდოა. უფრო მეტიც, „ქართული ოცნების“ მხრიდან ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით ნებისმიერ შეფერხებას, შედეგად „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი და კიევის მაიდანის თბილისში განმეორების მცდელობა მოჰყვება. ბოლო დღეების მანძილზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ღიად აანონსებენ უკრაინის მსგავს პროცესებს თბილისში, იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება არ გააგრძელებს ევროინტეგრაციას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნაციონალების გვერდით სავარაუდოდ აღმოჩნდება არასამთავრობო სექტორის დიდი ნაწილი, რომელიც დასავლეთიდან გრანტებით იკვებება. ასევე უნდა ველოდოთ „დესანტს უკრაინიდან“ სააკაშვილის სამეგობროს სახით. ნაციონალები ფლობენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს, დღემდე აკონტროლებენ ტელევიზიებს, დღემდე მეგობრობენ დასავლეთში წლების მანძილზე მოქრთამულ ლობისტურ კომპანიებთან და თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ მძლავრ პოლიტიკურ გარანტორს — დასავლეთის სახით, დავინახავთ, რომ ეს ყველაფერი, ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ნაკლებად, მაგრამ სიტუაციის ასარევად სრულიად საკმარისია. თუმცა, ამ ეტაპზეც ნაცმოძრაობის საფრთხის აცილება ძალზე მარტივადაა შესაძლებელი.

***— რაში გამოიხატება ეს სიმარტივე?***

— დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენლები სასამართლოში თავის მართლებით უნდა იყვნენ დაკავებულნი და ველარ უნდა ბედავდნენ ქვეყნისთვის იმაზე მეტის დაშავებას, რაც 9 წლის მანძილზე დააშავეს.

# შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზვიად ჯანყარაშვილმა თანამდებობა დატოვა



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ზვიად ჯანყარაშვილი თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

„კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან ჩემს მოქალაქეობრივ ვალად მიმაჩნდა გვერდში დავდგომოდი კოალიციას და მონაწილეობა მიმელო იმ ბრძოლაში, რომელიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წამოიწყო სააკაშვილის რეჟიმისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.

არჩევნებში ჩვენი პოლიტიკური ძალის გამარჯვების შემდეგ, მე ჩავდექი სახელმწიფო სამსახურში. მე ერთგულად ვემსახურე საერთო საქმეს და პირნათელი ვარ ჩვენი ქვეყნის წინაშე. გარდამავალ პერიოდში მე ვეხმარებოდი და ერთგულად ვედექი გვერდში მთელ პოლიტიკურ გუნდს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ირაკლი ღარიბაშვილს.

დღეს, როდესაც უკვე გარდამავალი ეტაპი დასრულებულად შეიძლება ჩავთვალოთ და მასთან დაკავშირებული სიძნელეები გადალახულია, ასევე, ოფიციალურად გამოცხადდა წინასაარჩევნო პერიოდი, საჭიროდ ვთვლი, დავტოვო თანამდებობა, რადგან არ მინდა ჩემმა ყოფნამ ამ თანამდებობაზე გამოიწვიოს უხერხულობა, საზოგადოებაში დარჩეს რაიმე სახის შეკითხვა, ადგილი ჰქონდეს ხელახალ სპეკულაციებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ნათესაობის თემაზე და ამით ხელი შეეშალოს იმ დიდ საქმეს, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უდგას სათავეში ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ“, — ნათქვამია ჯანყარაშვილის განცხადებაში.

მედიანიუსი

# გელა კვაჭანტირაძე: „ნაციონალები პროვოკაციებს არ ერიდებიან"

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

*— ნაციონალების წინასაარჩევნო კამპანიამ სტარტი აიღო, მაგრამ მათთვის უიღბლოდ. კვერცხებს და საღებავებს ესვრიან. როგორ შეაფასებთ ამ ვითარებას და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება?*

— ხალხსა და პოლიტიკოსებს შორის ურთიერთობები დაძაბულია, მაგრამ ამასაც აქვს თავისი მიზეზები, საზოგადოებაში დიდი აგრესიული მუხტია დაგროვილი ნაციონალების წინააღმდეგ. რაც გამოწვეულია მათი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდით, როცა ადგილი ჰქონდა ღია ძალადობას საზოგადოების მიმართ. თუ მთელი საზოგადოების და ხელისუფლების კეთილი ნება არ იქნა, რომ ცოტათი მაინც შევაკავოთ ეს პროცესები, შეიძლება ვითარება კიდევ უფრო გამწვავდეს. ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ გარკვეული განცხადებები გააკეთა, რომ საზოგადოებამ დაიცხროს სამართლიანი რისხვა და შედარებით ცივილიზებულად წარმართოს საარჩევნო პროცესი. ამით დაინტერესებულია არა მარტო მმართველი პარტია ან რომელიმე ერთი ოპოზიციური ძალა, არამედ მთელი ქვეყნის პრესტიჟი დევს სასწორზე. თვითმმართველობის არჩევნებმაც უნდა დაადასტუროს, რომ საქართველოში მკვიდრდება ნორმალური ცივილიზებული საარჩევნო პროცესი.

*— ღარიბაშვილისგან იყო მორატორიუმის შეთავაზება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, რომ თავი შეიკავონ იმ პირთა დაპატიმრებებისგან, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობენ.*

— მანდ ღარიბაშვილმა ერთი დეტალი დაამატა, კერძოდ ის, რომ თუ დიდი აუცილებლობა არ არის, შეიკავონ თავი ამისგან. ეს აბსოლუტური მორატორიუმი არ არის, კანონის დარღვევა კანონის დარღვევაა, სამართალდამცავების პირდაპირი დანიშნულებაა, რომ აღკვეთონ დარღვევა. ასეთი განცხადება არ იქნებოდა საჭირო, რომ პროცესი მიდიოდეს ცივილიზებულად და ამის ცივილიზებულად წარმართვას ორი მხარე აქვს, აქ მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ არის, ოპოზიციის პასუხისმგებლობაც არის, თუ ოპოზიციაც იქცევა ცივილიზებულად, მაშინ პროცესი იქნება ნორმალური. სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ ნაციონალები გამომწვევად იქცევიან და ცდილობენ სიტუაციის პროვოცირებას, ვინაიდან სხვა არგუმენტები არ დარჩათ იმისთვის, რომ ადამიანები მიიმხრონ თავის მხარეს. ნაციონალების ძირითადი სტრატეგია ის არის, რომ ნახეთ, ყველაფერი ძალიან ცუდად არის და ჩვენს დროს თუ ცუდი იყო, ახლა უარესია. სიტყვიერ პროვოკაციასაც არ ერიდებიან.

*— შეიმჩნევა პარტიების დაბლოკება, მაგალითად „ბურჯანაძე– დემოკრატები, ქდმ, ქართული დასი და მემარცხენე ალიანსი დაბლოკდნენ. რა აერთიანებთ, თქვენი აზრით, ამ პარტიებს?*

— საზოგადოება ინფორმირებულია როგორც პარტიების იდეოლოგიაზე, ისე მათ რეალურ პოლიტიკაზე, საკმაოდ ეკლექტური გაერთიანება ჩანს, ბურჯანაძეს თავისი ელექტორატი ჰყავს და ცნობილია მისი პოზიციები, მაგრამ რამდენად თავსებადია ის, რომ ქდმ გაერთიანდეს ბურჯანაძე-დემოკრატებთან, ეს საკითხავია. იმ ფონზე, როცა ორპოლუსიანი ვითარებაა ქვეყანაში, არ არის გასაკვირი, რომ შედარებით სუსტმა პარტიებმა არაიდეოლოგიური, არამედ სხვა სახის გაერთიანება გააკეთონ. ასეთი გაერთიანებები წმინდა პრაგმატული უფროა, ვიდრე სხვა მიზნის შემცველელი, მაგალითად, გრძელვადიანი იდეური ნიშნით. ეს პროცესი ცუდი არ არის იმიტომ, რომ ნაციონალების მხარდაჭერა საზოგადოებაში ძალიან მცირეა, მაგრამ ის მდგომარეობა, რაც მათ ინერციით შემორჩათ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შეესაბამება მათ რეალურ მხარდაჭერას. ამიტომ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ კუთვნილი სეგმენტის მოპოვება უნდა მოხდეს. კარგი იქნებოდა, რომ ასეთი ალიანსები დგებოდეს არა პარტიების სისუსტის გამო, არამედ ხედვების ერთიანობის მიზეზით. გრძელვადიანი უნდა იყოს ასეთი ბლოკები იმიტომ, რომ როცა მოსახლეობას დაპირებებს აძლევენ, ეს დაპირებები კიდეც უნდა შეასრულონ.

*— ახალი მემარჯვენეები და თავისუფალი საქართველოც დაბლოკდნენ და კახა კუკავა მათი ერთობის კანდიდატი იქნება. აქვს მას გამარჯვების შანსი, როცა ნარმანია და დიმიტრი ლორთქიფანიძე ამ არჩევნებში ფავორიტებად მოიაზრებიან?*

— ეჭვს არ იწვევს ის, რომ „ქართული ოცნება" ამ არჩევნებს დიდი უპირატესობით მოიგებს, ხელისუფლების რეიტინგი მაღალია და, შესაბამისად, მათი კანდიდატების მიმართ განწყობა დადებითია. მაგრამ ადგილობრივი არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამარჯვება ერთი რომელიმე პარტიის არ შეიძლება იყოს, ადგილებზე ოპოზიციისაც ექნება შანსი, რომ თავისი გავლენა მოიპოვოს. კარგია, რომ გარდა ნაციონალებისა, წინა პლანზე წამოიწიონ სხვა პარტიებმაც, რომ დაბალანსდეს ვითარება, შესაბამისობაში მოვიდეს ამომრჩევლის რეალურ განწყობასთან, პოზიტიურად ვაფასებ თავისუფალი საქართველოს და სხვა პარტიების აქტიურობას. კუკავას რაც შეეხება, ის არის ახალგაზრდა ნიჭიერი პოლიტიკოსი, მან მოახერხა ხალხის მხარდაჭერის მოპოვება არჩევნებში, მას თავისი განვითარების პერსპექტივა და ელექტორატი გააჩნია, მაგრამ არა იმდენი, რომ სერიოზული კონკურენცია გაუწიოს ხელისუფლების კანდიდატს. ამავე დროს, ეს ალიანსი მემარჯვენეებთან ხელოვნური მგონია და არა აქვს წინა ისტორია და პოლიტიკური ხედვების ერთობა. ეს უფრო წინასაარჩევნო ტაქტიკური გაერთიანებაა. საკმაოდ კონკურენტუნარიანი კანდიდატები გვყავს თბილისში.



*— გრძელვადიანი პერსპექტივები ახსენეთ და ახლა ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ძალებიც ქმნიან კოალიციას, ედპ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ევროპელი დემოკრატები. მათ რა შანსები აქვთ?*

— ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ პარტიებმა, შემდეგ დაკარგეს გავლენა, მაგრამ გარკვეული ჯგუფების მხარდაჭერა მათ გააჩნიათ. ევროპაშიც არიან პარტიები, რომლებსაც არჩევნები არ მოუგიათ, მაგრამ მათ თავისი სეგმენტი აქვთ. მყარი პლატფორმის მქონე პარტიები დემოკრატიის განვითარებისთვის სასარგებლო არიან. ვერ ვუწინასწარმეტყველებ დიდ გამარჯვებას, რადგან სხვა რეალობაა, წინ წამოვიდა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. მათი ელექტორატი ეროვნულ და პატრიოტულ განწყობებზე იყო ჩამოყალიბებული.

*— ეუთოს ფინანსური პრობლემები მაინცდამაინც ჩვენი თვითმმართველობის არჩევნების წინ აღმოუჩნდათ და დამკვირვებლებს არ აგზავნიან. როგორ გგონიათ, ამ არჩევნებს ნაკლებად მნიშვნელოვნად და საინტერესოდ თვლიან?*

— ამ თემას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, პირველი, შიდა პროცესებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნებია, ქვეყნის მასშტაბით ყალიბდება თვითმმართველი ორგანოები. თბილისის ცენტრალური ხელისუფლება ადგილებზე ვერ მართავს ვითარებას, ამ არჩევნებში დიდია ხალხის ჩართულობა ადგილებზე. მეორეც, ცხრაწლიანი რეჟიმი გვქონდა, ნაციონალების მიმართ სერიოზული პრეტენზიები არსებობს. უნდა დასრულდეს წინა ხელისუფლების გავლენა ადგილებზე. ეს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მიდის. საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდად ჩატარდა, შესაძლოა, ეს არჩევნებიც კარგად ჩატარდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი დამკვირვებლების აქტიურობა. დარღვევები არ გაეპარებათ.

*— ნაციონალებმა მთავარი პროკურორის ფარცხალაძის წინააღმდეგ კომპრომატები იპოვეს, ახლა ჭიკაიძესთან დაკავშირებით გაირკვა, რომ ის თურმე სპეცოპერაცია „ენვერის" აქტიური მონაწილე იყო და ფოტომასალაც ადასტურებს ამას. როგორ ფიქრობთ, „ქართულ ოცნებას" კადრების შერჩევასთან დაკავშირებით პრობლემა აქვს?*

— მარტო „ქართულ ოცნებას" კი არა, ზოგადად ყველა ხელისუფლების პრობლემა ეს გახლავთ. ეს ახალი დემოკრატიის ქვეყნების პრობლემას წარმოადგენს. როცა ქვეყანა მონობიდან გამოდის, მისი ხელისუფლება არ არის მიჩვეული იმას, რომ იმუშაოს სახელმწიფოს ინტერესებისთვის, დემოკრატიული მეთოდებით. პირადი მერკანტილური სურვილები უფრო ჭარბობს. უამრავი მედროვე ეწებება ახალ გამარჯვებულ ხელისუფლებას და ცდილობს მისგან რაიმე იხეიროს. ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს სწრაფი რეაგირება ნებისმიერ დანაშაულზე როგორც მის შიგნით, ისე საზოგადოების ყველა ფენაში. კანონი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიდის და ხდება დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება. საკადრო პრობლემები ნაციონალებს თითქოს არ ჰქონდათ, მაგრამ კულუარებში ეს ჩნდებოდა. ადამიანები ორ კლასად დაყვეს – ჩარეცხილებად და ელიტად. ეს ხელისუფლება ცდილობს სამართალი აღასრულოს და ვინც დამნაშავეა, პასუხი მოსთხოვოს.

*— ჭიკაიძესთან დაკავშირებით მაინც რა ხდება?*

— ეს არის ერთი პატარა ეპიზოდი, დიდად არ დავინტერესებულვარ მისი ბიოგრაფიით, მაგრამ ის არ დაბადებულა ახლა, მით უმეტეს, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. მას ჰქონდა ბეგრაუნდი და ნაციონალების ხელისუფლებაში მუშაობდა და არავითარი პრობლემა არ ჰქონდა. ახლა გაუჩნდათ ნაციონალებს მის მიმართ პრეტენზია და ამოქექეს ე.წ. კომპრომატი. პროვოკაციების ძიება ხდება, ეს ჩანს შეუიარაღებელი თვალითაც, ეძებენ მიზეზებს. სიფხიზლე არ მოდუნდება. ესეც კარგია. სუფთა რეპუტაციის მქონე კადრები გვჭირდება და არა საეჭვო წარსულის ხალხი.

# ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესმენებს სპორტში ინვესტიციების განხორციელებისკენ მოუწოდებს



პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართველ ბიზნესმენებს შესთავაზა, რომ სპორტში ინვესტიციები განახორციელონ.

„მოგეხსენებათ, ჩვენი არაერთი ბიზნესმენი სახელოვან სპორტსმენებს აფინანსებს, ისინი კეთილ საქმეს აკეთებენ და ქველმოქმედებას ეწევიან. მინდა შევთავაზო მათ ახალი ხედვა – შეხედონ ახალგაზრდა, დამწყებ და უკვე პროფესიონალი სპორტსმენების პერსპექტივის, მომავალში ინვესტირების კუთხით, ინვესტიციები ჩადონ და მერწმუნეთ, ისინი უკუგებას მიიღებენ და ამ საქმეში თავიანთი წვლილით იამაყებენ"-ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა კონფერენციაზე – „საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა", – სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა კონფერენციაზე ოლიმპიური მოძრაობის საკითხზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს სახელოვანი ოლიმპიელები ყოველთვის ჰყავდა, რომლებმაც ქვეყანას სახელი მთელ მსოფლიოში გაუთქვეს. ღარიბაშვილი თქმით, თუნდაც ამ ტრადიციიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ყველა პირობა შექმნას იმისთვის, რომ მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში საქართველოს თავისი ღირსეული ადგილი ეჭიროს.

„სპორტის ზოგიერთ სახეობაში ჩვენ გვყავს მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები, მაგრამ არ უნდა დავკმაყოფილდეთ ამ წარმატებებით, ხელი უნდა შევუწყოთ ახალი ვარსკვლავების გამოვლენას, მათი ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობების შექმნას"-განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ სპორტის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ქართულ სპორტში, სპორტის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებაში ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლის და ქართული სპორტის მიმართ ინტერესს გაზრდის. მისი თქმით, მთავრობა ამ კუთხით ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებას მოისმენს და მათთან ითანამშრომლებს. ამასთან, პრემიერის განცხადებით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაც.

„დასავლური გამოცდილების გაზიარება დაეხმარება ქართულ სპორტს გახდეს პოპულარული, პრესტიჟული და შემოსავლიანი, ისე როგორც ეს თანამედროვე მსოფლიოშია. საქართველომ ფეხი დასავლეთს უნდა აუწყოს და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს" – განაცხადა ღარიბაშვილმა და აღნიშნა, რომ ამისთვის საქართველოს საკმარისი შესაძლებლობები აქვს.

ნიუსპრესი

# შსს-ს წარმომადგენლები ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში მცხეთაში მოსწავლეებს შეხვდნენ

შსს-ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ივანე ზურაბაშვილი, მისი მოადგილეები და მცხეთის რაიონული სამმართველოს უფროსი, ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში, მცხეთის 1-ლი საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებს შეხვდნენ.

შსს-ს წარმომადგენლებმა მოზარდებს სამინისტროს მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაწყებული ანტინარკოტიკული კამპანია გააცნეს და მის მიზანსა და მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. მათ ყურადღება გაამახვილეს იმ საფრთხეებზე, რასაც ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარება იწვევს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შსს-ს წარმომადგენლებმა ანტინარკოტიკული კამპანიის შესახებ მოზარდების აზრი მოისმინეს, მათ შეკითხვებს უპასუხეს და მოსწავლეებს კამპანიის ფარგლებში გადაღებული საინფორმაციო საგანმანათლებლო ვიდეორგოლები აჩვენეს, რომლებშიც სხვადასხვა პროფილის ექიმები მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდიან, თუ რა მძიმე შედეგებს იწვევს ე.წ. ბიონარკოტიკების მოხმარება.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112"-ის მიერ მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლის მეშვეობით მოზარდებმა იმ პირველადი სიმპტომების შესახებ შეიტყვეს, რაც ე.წ. „ბიოს" მოხმარებას ახასიათებს, ხოლო აღნიშნული სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების აუცილებლობაზე მიიღეს ინფორმაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანტინარკოტიკული კამპანია, რომლის სლოგანია „ერთად შევცვალოთ დამოკიდებულება", 24 მარტს დაიწყო. კამპანია ე.წ. ბიონარკოტიკების გამოყენების პრევენციას და საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად. ანტინარკოტიკული კამპანიის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები სხვა რეგიონებშიც გაიმართა.

ნიუსპრესი

# ნარკოდანაშაულისთვის სამტრედიაში ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ბორის გ. ნარკოდანაშაულისთვის სამტრედიაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 15 შეკვრად დაფასოებული 1,84 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რაც ექსპერტიზის დასკვნით, 0,644 გრ ჰეროინს შეიცავს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

მედიანიუსი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.
ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დავით ლილუაშვილი: „მიკვირს, ხალხი უფრო რადიკალურად რატომ არ იქცევა“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუ უფლებადამცველ დავით ლილუაშვილთან

*— ბატონო დავით, როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნოდ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ოპოზიციური სპექტრი ხელისუფლებას გადაწყვეტილებებს უწუნებს და აცხადებს, რომ არა მხოლოდ საარჩევნო გარემოა არათანაბარი, არამედ პოლიტიკური ოპონენტების მიმართ პოლიტიკური დევნაც ხდება.*

— პოლიტიკური მდგომარეობა და ვითარება „ნაცმოძრაობიდან“ დანაშაულში მხილებულ თუ ბრალდებულ პირთა გარდა, ყველასთვის მეტ-ნაკლებად მისაღებია. ერთადერთი პრობლემა, რაც არჩევნებს უკავშირდება, მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ის ძველი ნორმებია, რომლის შეცვლაც შეეძლო ახალ ხელისუფლებას, მაგრამ არ შეცვალა და ამისთვის ის მართლაც გასაკრიტიკებელია. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ასეთ განცხადებას მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ აკეთებს. როგორც ჩანს, მათ დაავიწყდათ, თუ როგორი წინასაარჩევნო არადემოკრატიული გარემო იყო ოპოზიციისთვის მათი მმართველობის დროს, რაც პოლიტიკურ ოპონენტთა მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ ტერორში გამოიხატებოდა! კარგად გაიხსენონ „ნაციონალებმა“, რას უკეთებდნენ ხალხს – პოლიტიკოსისგან დაწყებული, რიგითი მოქალაქით დამთავრებული. ახლა კი, როცა დადგა თავიანთი შემადგენლობიდან იმ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ამას პოლიტიკურ დევნად აფასებენ. რას ვიზამთ, „ნაციონალები“ იყვნენ და რჩებიან დემაგოგებად, მატყუარებად და ცინიკოსებად!

***— რამდენად რეალურია, რომ ყოფილი ხელისუფლების ხელშეწყობით და ინიციატივით ქვეყანაში დესტაბილიზაციური პროცესი დაიწყოს და ახალი „ევრომაიდანი“ მივიღოთ საქართველოში?***

— ეს ინფორმაცია არასერიოზული რომ ყოფილიყო, შს მინისტრი ჭიკაიძე შესაბამის განცხადებას არ გააკეთებდა. მას ხომ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ყველაზე მეტი წვდომა აქვს ოპერატიულ ინფორმაციაზე. ვფიქრობ, ჭიკაიძის განცხადება ემსახურებოდა ერთგვარ პრევენციას და ადგილობრივ თუ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობას იმის თაობაზე, თუ რა საფრთხეები არის მოსალოდნელი და რისი დაშვება არ უნდა მოხდეს. სხვათა შორის, აღნიშნულთან დაკავშირებით ჟურნალისტმა ირმა ინაშვილმაც გააკეთა არაერთი განცხადება. თუმცა საზოგადოებისთვის ზოგად ისედაც ცნობილია, რა უნდათ „ნაციონალებს“ და შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას მათი მუქარა და განცხადებები გვაძლევს.

*— ყოფილი ხელისუფლების განცხადებებიდან და ქმედებებიდან რევანშის სურვილი და ამისთვის მზადება იკვეთება?*



— დიახ, რა თქმა უნდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სწორედ ამ გარემოებებს ვგულისხმობდი. მათ სურვილიც აქვთ და გაცხადებული მიზნებიც. გავიხსენოთ, რა განცხადება გააკეთა ქვეყნიდან გაქცეულმა და მთავარ პროკურატურაში მრავალ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმედ დაბარებულმა მიხეილ სააკაშვილმა; ასევე, როგორ პროვოკაციებზე მიდიან და რა განცხადებებს აკეთებენ საჯაროდ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები თბილისსა თუ თუნდაც ზუგდიდში, როცა ე.წ. ახალი ეროვნული მოძრაობის შესახებ გააკეთეს ანონსი. ისე, რამდენად პარადოქსულია, ანტიეროვნული და ანტისახალხო ძალის მიერ ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ განცხადება, არა?!

***— დროული და პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილებაა პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა, ადგილობრივ არჩევნებამდე საარჩევნო კამპანიაში ჩართულ პირთა მიმართ სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე მორატორიუმის გამოცხადება?***

— აბა, რა გითხრათ... ისე, რა გამოდის, რომ პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია დანაშაულში მხილებული და ბრალდებული პირებისთვის სისხლის სამართლებრივი დევნის შეჩერება, თუნდაც დროებით?! არის კი ეს გამოსავალი ან საკითხისადმი სწორი მიდგომა?! თუმცა, რა განცხადებაც გააკეთა ღარიბაშვილმა, იმისდა მიუხედავად, პროკურატურას შეუძლია, „საქართველოს ორგანული კანონით პროკურატურის შესახებ“ შესაბამისად იმოქმედოს. მართალია, პროკურატურა არის იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ანუ ზოგადად აღმასრულებელ ხელისუფლებას დაქვემდებარებული ორგანო, მაგრამ მას შეუძლია და ვალდებულიც არის, თუ იქნება ამის გარდაუვალი აუცილებლობა, განახორციელოს კანონით დადგენილი საგამოძიებო ღონისძიებები და სწორედ ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ის აღარ არის პოლიტიზებული სტრუქტურა, როგორიც იყო ადეიშვილის დროს და არ ექცევა ხელისუფლებისა ზეწოლისა თუ პოლიტიკური კონიუნქტურის გავლენის ქვეშ.

***— ეს ინიციატივა ხომ არ გააჩენს საზოგადოებაში უკმაყოფილებას ხელისუფლებისადმი? ისედაც ნელა მიდის სამართლიანობის აღდგენის პროცესი. იმ პოლიტიკურ ფიგურებს კი, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში სერიოზული კითხვები არსებობს და მასალებიც დევს მათ წინააღმდეგ ბრალდებების სახით პროკურატურაში, ამჯერადაც პასუხისმგებლობის თავის არიდების საშუალება ეძლევათ?***

— სამწუხაროდ, ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის დაპირება და ვალდებულება საერთოდ დაავიწყდა. 18 დღე იშიმშილეს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა და ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ მისულა და არ დაინტერესებულა მათი პრობლემებითა და მოთხოვნებით. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში უკვე არის გარკვეული იმედგაცრუება და გულგატეხილობა. „ნაციონალების“, როგორც დანაშაულებრივი ძალის მიმართ, ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულების და კოჰაბიტაციის ფონზე, ხომ ხედავთ, როგორ აგრესიულად გააქტიურდნენ ისინი?! როცა უგულავა დაიბარეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, მის მხარდასაჭერად შეკრებილი „ნაციონალები“ უშვერი სიტყვებით სკანდირებდნენ ივანიშვილის მისამართით. უცებ 7 ნოემბერი გამახსენდა, როცა „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები რუსთაველზე დემარშის დროს ასევე სკანდირებდნენ აწ განსვენებული პატარკაციშვილის მიმართ. მოკლედ, „ნაცმოძრაობა“ მიდის ყოველგვარ პროვოკაციაზე, სამოქალაქო დაპირისპირებაზე და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ახალმა ხელისუფლებამ მათ ამის საშუალება მისცა. გავიხსენოთ ის მარგალიტები და ეპითეტები, რასაც წინა ხელისუფლებაზე ამბობდნენ: ნაციონალები არიან ძირითადი ოპოზიციური ძალა, „დავეხმარეთ პარაშუტებით დაშვებაში“, „შევუნარჩუნეთ სახე“ და ა.შ.

***— როგორ ფიქრობთ, მართლაც ხელისუფლებისგან მართულია ის ხმაურიანი დაპირისპირებები და კვერცხების სროლა, რომელიც ნაციონალების წინასაარჩევნო კამპანიას ახლავს?***

— რა მართვა უნდა ყოფილ ხელისუფლებაზე გაბრაზებულ და სააკაშვილის რეჟიმისგან გამწარებულ ადამიანებს?! მიკვირს, უფრო რადიკალურად რომ არ იქცევა ხალხი.

## პოლიციამ მარიხუანა და ტროტილი ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული დავით მ. ნარკოდანაშაულისთვის და საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გორის რაიონის სოფელ სკრაში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 125 საბრძოლო ვაზნა, ფეთქებადი ნივთიერება და ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 6,8337 კგ ტროტილი და 10,65 გრ გამომშრალი „მარიხუანა“.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## უგულავას სიმამრს აღკვეთის ღონისძიების სახით 20 ათასი ლარის გირაო შეეფარდა

შპს „მანის“ დირექტორს, დედაქალაქის ყოფილი მერის გიგი უგულავას სიმამრს შალვა კილაძეს რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით 20 ათასი ლარის გირაო შეუფარდა. შალვა კილაძემ აღნიშნული თანხა 40 დღეში უნდა გადაიხადოს.




შპს „მანის“ დირექტორს შალვა კილაძეს გამოძიება უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ედავება. საგამოძიებო უწყების განმარტებით, საქმე ლიცენზიის გარეშე წიაღისეულის მოპოვებას ეხება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ითვალისწინებს.

სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რომელიც აღკვეთის ღონისძიებად 100 ათას ლარიან გირაოს ითხოვდა.

გაასაჩივრებს თუ არა დაცვის მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას, ჯერჯერობით უცნობია. გადაწყვეტილებას ადვოკატი ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

„ვითხოვდით ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ გამოყენებულიყო, მაგრამ სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ჩვენი პოზიცია. გავივლი კონსულტაციას ოჯახთან და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას“– განაცხადა შალვა კილაძის ადვოკატმა გიორგი კონდახაშვილმა.

ნიუსპრესი



## დავით ბეჟაშვილი: „ოცნება ჩვენს აქტივისტებზე ზეწოლას ნახევრად კრიმინალური დაჯგუფებებით ცდილობს“

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, დეპუტატ ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, მმართველი გუნდი „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებზე ზეწოლის მოხდენას ნახევრადკრიმინალური დაჯგუფებების საშუალებით ცდილობს. ამის შესახებ მან პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ლევან ბეჟაშვილმა იმ პირთა სია და ფოტო მასალა წარადგინა, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ „ნაციონალურ მოძრაობას“ წინასაარჩევნო ღონისძიების ჩატარებაში ხელი შეუშალეს.

„მინდა წარმოგიდგინოთ თელავის ინციდენტის ერთ-ერთი მონაწილე გიორგი ჟურული, რომელიც წარსულში მკვლელობითვის არის ნასამართლევი, ასევე, არჩილ მაისურაძე მეტსახელად სტარიჩოკა, ასევე მკვლელობაზე ნასამართლევი პირი. დავით მეგუთნიშვილი მეტსახელად ტაშტი, ოცნების აქტივისტი და წინანდლის კოორდინატორი“ – ამბობს ლევან ბეჟაშვილი.

რამდენიმე დღის წინ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ქვეყნის ექვს ქალაქში ბრიფინგების სახელად – „შეჩერებული საქართველო“ – ჩატარებას გეგმავდნენ, თუმცა ადგილობრივებმა მათ ამის გაკეთების საშულება არ მისცეს. დეპუტატები გიორგი ღვინიაშვილი და ლევან ბეჟაშვილი აღნიშნული ბრიფინგის ჩატარების მიზნით თელავში ჩავიდნენ, თუმცა მათ ცოცხებით დახვდნენ და კვერცხები ესროლეს.

ნიუსპრესი

## 22 აფთიაქიდან ურეცეპტოდ 5 396 228 ერთეული პირველ ჯგუფზე მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტია გაყიდული

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს წარმომადგენლებმა, 2014 წლის 1 იანვრიდან 15 აპრილამდე პერიოდში, ფარმაცევტული ბაზრის ზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებების მიმართულებით გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად, სულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 63 ოქმი შეადგინეს. სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ კონტროლის ღონისძიებებსა და აღმოჩენილ დარღვევებზე გუშინ გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

2014 წლის 1 იანვრიდან 15 აპრილამდე პერიოდში, სააგენტომ პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის წესების დარღვევის ფაქტები დააფიქსირა – ურეცეპტოდ გაცემა, აღრიცხვის წესების დარღვევა, ავტორიზებული აფთიაქის საქმიანობა ექსპორტ/იმპორტის ნებართვის გარეშე და ა.შ.

გამოვლენილია, ასევე, საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე და ვადაგასული II და III ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის, შენახვის პირობების, სერიული აღრიცხვის დადგენილი წესების დარღვევის და რეალიზაციის დაწყების/დასრულების და შეფუთვა-მარკირების ცვლილების ფაქტები სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინების გარეშე.

22 საააფთიაქო დაწესებულებიდან რეცეპტის გარეშე სულ გაცემულია 5 396 228 ერთეული პირველი ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი.

სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის – „კროკოდილის“ გამოყენების ფაქტები მინიმუმამდე შემცირდა.

კონტროლს 6 გენერიული დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი – ბაკლოფენი, გაბაპენტინი, ზოპიკლონი, ზალეპლონი, ტროპიკამიდი, დექსტრომეტორფანის შემცველი კომბინირებული პრეპარატები დაექვემდებარა.

კონტროლის ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 14 იანვრიდან 15 აპრილამდე პერიოდში, სპეციალური რეცეპტის გარეშე აფთიაქებიდან 723 815 ერთეული ზემოთ მითითებული 6 ნივთიერების შემცველი სამკურნალო საშუალებაა გაცემული.

სააგენტოს ინფორმაციით, ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, გამოვლენილი სამართალდარღვევების საფუძველზე რეგულირების სააგენტომ ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა ერთ დაწესებულებას გააუქმა.

ნიუსპრესი

## ოკუპანტებმა ქართველი ჟურნალისტები დააკავეს

ნათია ხურცილავა

სოფელ აძვის სიახლოვეს გუშინ ქართველი ჟურნალისტები დააკავეს. ქართველი ჟურნალისტები ოკუპირებული ტერიტორიის სიახლოვეს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გადასაღებად იყვნენ ჩასულები.

რეპორტაჟის მოსამზადებლად ტვ-3-ის გადამღები ჯგუფი, როგორც აღვნიშნეთ, სოფელ აძვის სიახლოვეს იყო ჩასული. ჯგუფში შედიოდნენ ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე, ვახო ლეკიაშვილი და ჩართვის ტექნიკური ჯგუფის წევრი მიხეილ მიხოევი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ჟურნალისტების დაკავების ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინფორმაცია ევროკავშირის მისიას მიაწოდა.

– შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე შეატყობინა და ცხელი ხაზი ამოქმედდა და ასევე ინფორმირებულია ევროკავშირის მისია. – აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

ტელევიზიის წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ ჟურნალისტები ეკლესიას იღებდნენ, რა დროსაც ისინი ოკუპანტებმა დააკავეს.

უშიშროების საბჭოს მდივანმა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. იმერლიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებდა, რომ ყველაფერი კეთდება იმისთვის, რათა ქართველი ჟურნალისტების გათავისუფლება დროულად მოხდეს.

– მართლაც ძალიან აღმაშფოთებელი ფაქტია, აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჩართულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასევე, ცხელი ხაზით მიმდინარეობს მუშაობა. რაც შეეხება საფრთხეებს, ამ მიმართულებით უშიშროების საბჭოს აპარატი ინტენსიურად მუშაობს და ინფორმაციას ყოველკვირეულად ვაახლებთ და საქართველოს პრეზიდენტს ვაწვდით. როგორც კი პრეზიდენტი ჩათვლის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მოიწვიოს უშიშროების საბჭო, ის მოიწვევს. – განაცხადა იმერლიშვილმა.

# ვახტანგ მაისაია: „რუსეთს უკრაინის მიერთება არ სჭირდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სამხედრო-სტრატეგიული შეიარაღებული ძალების ოპერატიული განთავსება. მაშინ მიიღეს ახალი სტრატეგიული დოკუმენტები – თავდაცვის დოქტრინა, სტრატეგიული თავდაცვის გეგმის მიმოხილვა. მაშინ დაიწყო სამხედრო დაზვერვის ჩამოყალიბება, რაც აუცილებელი და მთავარი კრიტერიული იყო. წვრთნის პროგრამაც მაშინ დაიწყო. უბრალოდ, მაშინ ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკური ფაქტორის გამო ჩათვალა, რომ თავდაცვის სამინისტრო იქნებოდა მისი კონკურენტი. ელემენტარულად, შეიარაღებული ძალებს ფულს არ აძლევდა. უფულობამ გამოიწვია ის, რომ რეფორმა ბოლომდე ვერ მივიდა და ამან დამღუპველი როლი ითამაშა შემდგომ. მაშინ დაიწყო სწორედ ამერიკელების დახმარებით ჩვენი ჯარისკაცების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, მაგრამ მაშინ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ შეიარაღებული ძალები იყო მისი პოლიტიკური მტერი და მის მიმართ არაკეთილგანწყობილი. დაახლოებით იგივე სიტუაციაა უკრაინაში, როდესაც არმია იყო ყველაზე დაბალ, მესამე და მეოთხე საფეხურზე მიგდებული. მხოლოდ პრივილეგირებული სპეცდანიშნულების რაზმები, ბერკუტი, სოკოლი და შინაგანი ჯარები იყვნენ რეჟიმის აპოლოგეტები და რეჟიმი მათ იყენებდა. იანუკოვიჩის ხელისუფლება ბერკუტს მაიდანის წინააღმდეგ იყენებდა. ბერკუტი დაიშალა. ამან თავისი შედეგი გამოიღო. როცა დაიწყო ყირიმის ინტერვენცია და შემდეგ ოკუპაცია და ანექსია, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ვერ შეძლეს თავიანთი ფუნქციების შესრულება. ფაქტობრივად, კაპიტულანტური პირობებით დატოვეს ყირიმი ისე, რომ უბრალო წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ.

*– გემებიც გაიყვანეს.*

– დიახ, გემებიც გაიყვანეს, ისე, როგორც ჩეხოსლოვაკიის არმიას მოუვიდა. სუდეტის ვარიანტი გამეორდა. 1939 წელს გერმანიის ჯარი რომ შეიჭრა და დაიკავა გერმანული მოსახლეობის მიზეზით. ამას მოჰყვა შემდეგ მთლიანად ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის არმიამ საერთოდ თითიც ვერ გაანძრია გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ასევე მოხდა ახლაც. ბოლო მომენტში ბერკუტმა, რომელიც ფორმალურად ემსახურებოდა პოსტმაიდანის ხელისუფლებას, უარი განაცხადა ბრძანების შესრულებაზე და გადავიდა მეამბოხეების – სეპარატისტების მხარეს. ამ ტენდენციასაც აქვს ადგილი. შეიძლება, ასეთი მომენტები კიდევ განვითარდეს. დღესაც კი, გავიდა ულტიმატუმი და კონტრტერორისტული ოპერაცია არ იწყება.

*– შესაბამისი ძალა არ აქვთ თუ სხვა მიზეზია?*

– არაშესაბამისი ძალაა. მეორეც – უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება ერიდება პროვოკაციებს.

*– მე მგონი, დაგვიანებულიც არის ოპერაციის დაწყება. მათ უკვე გაამაგრეს პოზიციები.*

– ასეა, მაგრამ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება დაბნეულია, რადგან არავინ მოელოდა სიტუაციის ამგვარ განვითარებას ანუ აქ მხარეები მუშაობენ დასწრებაზე.

*– თუმცა, უკრაინის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ჯარი მზად არის თავისი მოვალეობის შესასრულებლად.*

– დეკლარაციულ დონეზე ეს ასეა, მაგრამ პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობს, ძალების დემონსტრირება მოახდინოს და ამით ფონს გავიდეს ანუ ცდილობს, პროვოკაციას არ წამოეგოს, აჩვენოს დასავლეთს, რომ დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებს იზიარებენ. უკრაინელები ცდილობენ, არ წამოეგონ პროვოკაციას, დასავლეთის ნდობა არ დაკარგონ, რომ დასავლეთი უკრაინას ბოლომდე დაუდგეს. რამდენადაც პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას სტრატეგიული ხედვა უფრო მეტად აქვს, ვიდრე საქართველოს წინა ხელისუფლებას, რომელიც პროვოკაციებს წამოეგო. უკრაინის ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, პროვოკაციას არ წამოეგოს და გადადგან ისეთი ნაბიჯები, რომლებიც გამოიწვევს დასავლეთის მხარდაჭერას. დასავლეთის ზოგიერთ აქტიორს არ მისცეს საშუალება, თითზე დაიხვიოს უკრაინის ხელისუფლების განცხადებები. მაგალითად, უკრაინაში არსებული მესამე სექტორის ან მემარჯვენე ფრაქცია ნაციონალისტების ქმედებებმა, ფაქტობრივად, უკრაინას ისრაელის მხარდაჭერა დააკარგვინა. ისრაელის ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, დაიკავა ნეიტრალური პოზიცია, განაცხადა, რომ ანტისემიტური ქმედებების გამო ემიჯნებოდა უკრაინის ხელისუფლებას და გარკვეულწილად რუსეთის მხარდამჭერი გამოვიდა.

*– რატომ?*

– იმიტომ, რომ იქ დაიწყო ანტისემიტური გამოსვლები, ებრაელებზე თავდასხმები. მაშინ, როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ დაიწყო დისტანცირება მემარჯვენე სექტორისაგან, დაიწყო მათი ფორმირებების განიარაღება, რამდენიმე ლიდერზე აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, მერე უკვე ისრაელმა შეიცვალა პოზიცია და გააკეთა ანტირუსული განცხადებები. აქედან გამომდინარე, უკრაინის ხელისუფლება რთული დილემის წინაშეა.

*– რუსეთი სადამდე წავა და უკრაინაში გართულებული სიტუაცია რა გავლენას მოახდენს საქართველოს მდგომარეობაზე?*

– რუსეთის გეგმა მარტივია – შექმნას კონფედერაციული სახელმწიფო უკრაინაში, სადაც საგარეო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე უშუალოდ გავლენას ახდენენ რეგიონები და რეგიონული ელიტები და არა ვიწრო პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები – პოლიტიკური პარტიები და კოალიციები. რუსები ცდილობენ, უკრაინა გახადონ ნეიტრალური სახელმწიფო.

*– უკრაინის მიერთებას არ ცდილობენ?*

– რუსეთს უკრაინის მიერთება არ სჭირდება. მათ უკრაინა ახლა სჭირდებათ, როგორც კონფედერაციული სახელმწიფო. თუ ეს არ გამოუვათ, ისინი გაითამაშებენ ე.წ. ბუფერულ ვარიანტს. რუსეთს ახლა სჭირდება ბუფერული სივრცის შექმნა, რომელიც მას დააშორებს ნატოსა და ევროკავშირისაგან.

# გულბაათ რცხილაძე: „უკრაინის დღევანდელი მთავრობა ტერორისტულ ძალებს ეყრდნობა“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან



**რუსეთის მტკიცების მიუხედავად, რომ უკრაინაში დაწყებულ ანტიტერორისტულ ოპერაციასთან არანაირი კავშირი არ აქვთ, მთავარი ბრალდებები მაინც რუსეთისკენაა მიმართული. გავრცელებული ინფორმაციით, ბარაკ ობამამ პუტინს მოუწოდა, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფედერალიზაციის მომხრეების მხარდაჭერა შეწყვიტოს, რაზეც პუტინის პასუხი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილება არასანდო ინფორმაციას ეფუძნება და მოუწოდა ობამას, მაქსიმალურად გამოიყენოს ამერიკული მხარის შესაძლებლობები და სისხლის ღვრა არ დაუშვას. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები და რა საფრთხეები არსებობს საქართველოსთვის კონფლიქტის გამწვავების შემთხვევაში, „ახალი თაობა“ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძეს ესაუბრა.**

*– უკრაინაში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაცია შესაძლოა თუ არა, უფრო ღრმა დაპირისპირებაში გადაიზარდოს?*

– ეს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია უკვე ომის გამოცხადებას ნიშნავს, ომს საკუთარ ხალხთან. ჩვენი ინტერვიუ რომ გაზეთში დაიბეჭდება, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად უფრო დიდი მსხვერპლი იქნება რეგისტრირებული, ვიდრე ამ მომენტისთვის არის. კიევის ხელისუფლებამ უკვე გადაისროლა აღმოსავლეთისაკენ მძიმე ტექნიკა და არმიის შენაერთები. ფაქტობრივად, უკრაინაში სამოქალაქო ომი დაიწყო, რომლის ლოკალიზება ჯერ კიდევ არ არის გვიან, თუკი მხარეები გონს მოეგებიან.

*– როგორც უკრაინის მთავრობა აცხადებს, ტერორისტების უკან რუსეთი დგას, ამ ბრალდებას კი ოფიციალური მოსკოვი უარყოფს.*

– უკრაინის დღევანდელი მთავრობა თავად ეყრდნობა ტერორისტულ ძალებს. საინტერესოა, ვინ დგას „მემარჯვენე სექტორის“ უკან? ვინ ჩაიყენეს სამსახურში უკრაინელმა ოლიგარქებმა? ალბათ, უფრო დასავლეთისკენ უნდა ვეძებოთ ტერორისტების რეალური მფარველები, ეს იგივე ხალხია, რომელიც თავად უკრაინის ახალ ხელისუფლებას მფარველობს. რუსეთი, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, დახმარებას აღმოუჩენს აღმოსავლეთი უკრაინის ხალხს, რადგან საქმე ეხება რუსი და რუსულენოვანი ადამიანების ინტერესებს, რომელთა დამონებას ლამობს კიევი. დონბასელები ელიან რუსული რეგულარული ჯარების შესვლას მათ ტერიტორიაზე, მაგრამ მოსკოვი ამას არ აკეთებს. იგი, პირველ რიგში, დიპლომატიურ დახმარებას აღმოუჩენს აღმოსავლეთს და სპეცსამსახურებიც, რაღა თქმა უნდა, აქტიურად იმუშავებენ, რაც აბსოლუტურად გასაგები მომენტია, ნებისმიერი სხვა სახელმწიფო რუსეთის ადგილზე ანალოგიურად მოიქცეოდა. უნდა გავაცნობიეროთ, რომ უკრაინის მოვლენებისადმი რუსეთი გულგრილი არ დარჩება, რადგან ნატოსთან ურთიერთობის მეტად სავალალო გამოცდილება არსებობს – რუსეთი არაერთხელ მოატყუეს, ნატოც გაფართოვდა აღმოსავლეთით და რამდენჯერმე მცდელობაც იყო, მოსკოვში დასავლეთიდან მართული ოპოზიციის ხელით სიტუაცია არეულიყო. ამიტომ რუსეთი დასწრებაზე იმოქმედებს, მიიღებს პრევენციულ ზომებს და უსიამოვნებას თავისი ტერიტორიიდან მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანს. ამ შემთხვევაში, მოწინააღმდეგე უკრაინის რადიკალური პროდასავლური ხელისუფლებაა, რომელმაც ძალადობრივი გზით განდევნა ქვეყნიდან აბსოლუტურად კანონიერი პრეზიდენტი იანუკოვიჩი და ესეც არ იკმარა, მეორე დღესვე დისკრიმინაციული კანონი მიიღო რუსული ენის წინააღმდეგ. შესაბამისად, რუსეთის რეაქცია არ არის გასაკვირი და თუ უკრაინის ხელისუფლება შეეცდება, ძალით დაიმორჩილოს დონბასელი ხალხი, რუსეთისგან ღია ჩარევაც არ იქნება გამორიცხული.

*– გადაწყდა, რომ ევროკავშირი უკრაინაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში დასახმარებლად მისიას გაგზავნის. ეს კიდევ უფრო ხომ არ დაამძიმებს ვითარებას?*

– გააჩნია, თავად ეს მისია რა მისიით იქნება გაგზავნილი – გამოჩნდება, რამდენად რეალურად სურს ევროკავშირს, დაეხმაროს მთელ უკრაინელ ხალხს და არა მხოლოდ მის პროდასავლურ ნაწილს. მე საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ მსგავს მისიებს, ევროკავშირი საგარეო პოლიტიკაში არის შეერთებული შტატების დანამატი. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირს არ ჰყავს პოლიტიკოსები, არამედ ჩინოვნიკები. აბა, რა პოლიტიკოსია ვან რომპეი ან ქეთრინ ეშტონი, პირდაპირ სასაცილოა, რომ ამ უბადრუკ ჩინოვნიკებს ასეთი მასშტაბის პრობლემებთან უწევთ შეჭიდება. რა თქმა უნდა, პუტინი მათ ყველა ფრონტზე მოუგებს.

*– არსებობს თუ არა რეალურად ომის დაწყების საფრთხე და რა მასშტაბები შეიძლება მიიღოს?*

– როგორც მოგახსენეთ, სამოქალაქო ომი უკვე დაწყებულია და რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებაც ძალზე რეალურია. პარადოქსულად ჟღერს, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ რეალურად ასეა: თუკი რუსეთი რეგულარული ჯარებით ჩაერთვება პროცესებში, მსხვერპლი ნაკლები იქნება. გაცილებით დიდი მსხვერპლის მოწმენი გავხდებით, თუკი კიევის მიერ გამოგზავნილ შეიარაღებულ ფორმირებებსა და დონბასელ მოხალისეებს ერთმანეთს პირისპირ შეატოვებენ. რუსეთს არ სურს დონბასის შემოერთება, ოფიციალურმა მოსკოვმა ნათლად და მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია: უკრაინაში მშვიდობა და სტაბილურობა უნდა სუფევდეს, რაც ქვეყნის ფედერალიზაციის გარეშე შეუძლებელია. მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას, სავსებით რეალისტურია. უკრაინის აღმოსავლეთი გეოგრაფიულად, მენტალურად, ეკონომიკურად, პოლიტიკურად – რუსეთთან არის დაახლოებული და მისგან თითქმის არ განსხვავდება, ამიტომ დონბასში მიუღებელია „ზაპადენცების“ და ბანდერას მოტრფიალეთა მიერ აღებული კიევის დიქტატი. დონბასს სჭირდება გარანტია, რომ ადგილობრივთა ცხოვრების წესში უხეშად არავინ ჩაერევა კიევიდან. ასევე უნდა გამოირიცხოს უკრაინის გადასვლა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო-სტრატეგიულ ორბიტაზე. სწორედ ფედერალიზაცია მისცემს საშუალებას უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებს, რომ თავი ამ მხრივ დაცულად იგრძნონ. მეორე მხრივ კი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული იქნება. მაგრამ კიევს არ სურს დათმობებზე წასვლა და ებღაუჭება უნიტარული უკრაინის იდეას, რომელიც მთლიანად პროდასავლური იქნება. ეს, რა თქმა უნდა, უკვე გამორიცხულია.

*– ტიმოშენკომ ღიად მოუწოდა სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებს, უკრაინას სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ. ვინ შეიძლება ჩაერთოს ამ კონფლიქტში?*

– არც არავინ. ტიმოშენკოს აფიორების დრო დასრულდა, ახლა იგი ერთი რიგითი, უსუსური ქალია. მას შეუძლია, ისევ დაიწნას თმა და უკრაინული ნიღბით იაროს, მაგრამ ეს მას არ უშველის. უკრაინის გამო რუსეთთან ომს არავინ დაიწყებს. რუსეთთან ომი ყველასათვის გამანადგურებელი იქნება.

*– საქართველოს რა საფრთხეები ექმნება ამ შემთხვევაში?*

– საქართველოს „დავითას“ საფრთხე ექმნება მხოლოდ, ანუ: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. თუკი საქართველოს ხელისუფლება შეინარჩუნებს ტაქტს და რუსეთთან დარეგულირებისკენ აღებულ კურსს არ გადაუხვევს, რუსეთი ჩვენთვის საფრთხე არ იქნება. მხოლოდ ზედმეტი ჩარევა უკრაინის საქმეებში შეუქმნის საფრთხეს ჩვენს ქვეყანას. ასევე მიუღებელია გამომწვევი განცხადებების გაკეთება, რომ საქართველო „არ გადაუხვევს“ ნატოსა და ევროკავშირის კურსს. ბოდიში, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის ქუჩის დონე და, რადგან ქუჩის დონეა, ქართველ პოლიტიკოსებს ვურჩევ: როდესაც დაიწყებენ მტკიცებას და ფიცს, ნატოს და დასავლური ინტეგრაციის კურსს არ გადავუხვევთო, ზედ „ჩემი დედაც“ დააყოლონ. ალბათ ასე უფრო შეაშინებენ პუტინს.

*– რაც შეეხება საქართველოს, როგორც ხელისუფლება პროგნოზირებს, ნაციონალები არეულობისთვის ემზადებიან, რომლებიც ქვეყანაში მე-5 კოლონის გაძლიერებაზე საუბრობენ, რაშიც პირდაპირ ადანაშაულებენ ევრაზიის ინსტიტუტს...*

– ეს არის ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უწიგნურობისა და დილეტანტიზმის მორიგი გამოვლინება. ჯერ ერთი, ჩვენს ინსტიტუტს რატომღაც შეარქვეს „ევრაზიული კავშირი“, რაც ნონსენსია. ევრაზიული კავშირი იქნება ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოებს გააერთიანებს და იგი ჯერ არ არსებობს. მე გახლავართ ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. ეს არის ქართული არასახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც 2009 წელს დაარსდა და მთელი ამ ხნის მანძილზე სააკაშვილის ბინძურ რეჟიმსა და მის ანტირუსულ, სინამდვილეში კი ანტიქართულ პოლიტიკას ებრძოდა. ჩვენ ამას მაშინაც ღიად ვაკეთებდით და ახლაც აბსოლუტურად გამჭვირვალედ ვმუშაობთ: ვხვდებით მოსახლეობას რეგიონებში, ვაწყობთ სემინარებს, დოკუმენტური ფილმების ჩვენებებს, ვაქვეყნებთ ანალიტიკურ სტატიებს, ვცდილობთ, გავაღრმავოთ ურთიერთობები რუს პოლიტოლოგებთან და გარკვეულად პოზიციები შევაჯეროთ... ეს არ არის „მეხუთე კოლონა“ – გადაშალონ ენციკლოპედიები და ნახონ, რას ნიშნავს აღნიშნული ტერმინი და საიდან წამოვიდა. ზოგიერთმა სულელმა ისიც დაგვდო ბრალად, რომ ჩვენ „ნაციონალები“ გვაფინანსებენ და ეს მაშინ, როდესაც ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი შოთა აფხაიძე სააკაშვილის რეჟიმმა სამ წელიწადზე მეტ ხანს აყურყუტა ციხეში, და რომ არა ხელისუფლების ცვლილება 2012 წლის ოქტომბერში, კიდევ წელიწად-ნახევარი უნდა მჯდარიყო. ჩვენ არც მომავალში დავმალავთ ჩვენს პოზიციას და ხალხს სათქმელს ღიად ვეტყვით. საოცარი ენთუზიაზმია ჩვენთან შეხვედრებზე რეგიონებში, განსაკუთრებით შიდა ქართლში. უამრავი მხარდამჭერი გვყავს არა როგორც ორგანიზაციას, არამედ როგორც გარკვეული იდეების მატარებელ ადამიანებს. აი სწორედ ეს აცოფებთ ჩვენს, ასე ვთქვათ, ოპონენტებს „ნაცმოძრაობის“ რიგებიდან. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ მოშურნეც ბევრი გაგვიჩნდა – ჩვენ შევძელით ის, რაც ბევრმა ვერ შეძლო. მე უფრო ამაზე მწყდება გული, რომ „აქეთა“ ფლანგიდან გვიტევენ, თორემ, „ნაცმოძრაობა“ რომ მტერია და მას უნდა ვებრძოლო, ეს ვიცი და მშვიდად აღვიქვამ.

# უკვე ექვსი ლიცენზია

პორტუგალიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ბატუტისტთა შორის, ჩვენმა სპორტსმენებმა პროგრამა მინიმუმი შეასრულეს და „ნანჯინგი 2014“-ის ორი საგზური დაისაკუთრეს.

ჩვენი გუნდი გიმარაეშში 6 სპორტსმენით (4 გოგო, 2 ბიჭი) წარდგა. ადრეც აღვნიშნეთ, რომ ლიცენზიის მოპოვების უპირველეს ფავორიტად ანა ოდიშვილი მოიაზრებოდა და არცთუ უსაფუძვლოდ. იგი ხომ ჯერ კიდევ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონია. ამიტომაც, ანასგან, სულაც საპრიზო სამეულში მოხვედრასაც ველოდით, მაგრამ სპორტში ხომ ყველაფერი ლოგიკას არ ექვემდებარება, მით უმეტეს, ისეთ სპეციფიკურ სპორტის სახეობაში, როგორიც ბატუტზე ხტომაა. ერთი სიტყვით, ანა ოდიშვილი მისთვის უჩვეულო 51-ე ადგილზე გავიდა. 29-ზე შედეგი აჩვენა ქრისტინე სორდიამ, ხოლო ყველაზე წარმატებულად თეონა ჯანჯღავამ იასპარეზა და მეოთხე ადგილზე გასვლით სწორედ მას ხვდა წილად ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზია.

ვაჟთა შორის თავი ზურაბ ნოზაძემ გამოიჩინა. მის მიერ მოპოვებული მეხუთე ადგილი ნანჯინგის ბილეთის დასაბევებლად საკმარისი აღმოჩნდა, რადგან პირველ ოთხეულში ორი რუსი სპორტსმენი მოხვდა, რაც ავტომატურად ერთ-ერთის სალიცენზიო მარათონიდან ჩამოშორებას ნიშნავს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს, სინგაპურის სადებიუტო თამაშებზე, საქართველო 5 სპორტსმენით წარდგა, ხოლო ნანჯინგში უკვე 6 ლიცენზიანტი გვყავს. სავარაუდოდ, მათი რიცხვი კიდევ გაიზრდება, რადგან სალიცენზიო ფერხულში ჯერ არ ჩართულან მოჭიდავეები.

ნანჯინგის მეექვსე საგზური კი, მოცურავე აკაკი ვაშაკიძის ანგარიშზეა, რომელმაც ბრესტში გამართულ ახალგაზრდა მოცურავეთა ბელარუსის პირველობაზე, 100 მეტრზე ბატერფლაიში 57.20 წამით მესამე შედეგი აჩვენა და სალიცენზიო ნორმატივიც შეასრულა.

მ. ჟ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ეკა კვალიაშვილი საფრანგეთში წავიდა

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ეკა კვალიაშვილი, რომელსაც უმძიმესი დაავადება, ნეიროფიბროზი დაუდგინეს, სასწრაფოდ საფრანგეთში წავიდა. საქართველოდან გამგზავრებამდე მომღერლის მხარდასაჭერად გაიმართა ორი ტელემარათონი, რომელზეც რიგითმა ადამიანებმა თუ სხვადასხვა კომპანიებმა მომღერალს ფინანსური დახმარება გაუწიეს. პირველ ტელემარათონზე დაანონსდა, რომ სატელეფონო ზარებითა და სხვადასხვა ტიპის გადარიცხვებით ეკა კვალიაშვილის ანგარიშზე 90.000 ლარი იყო ჩარიცხული, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მომღერალს დასახელებული თანხა არ ჩარიცხვია. ხელუხლები მკურნალობის კურსის ჩასატარებლად საფრანგეთში გაემგზავრა, მის ანგარიშზე კი 90.000 ლარის ნაცვლად მხოლოდ 22.000 ათასი ლარი ირიცხებოდა.

ეკა კვალიაშვილის დასახმარებლად ბიზნესმენები და საზოგადოების წარმომადგენლები გაერთიანდნენ. ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „ეკა ხოფერიას თოქშოუში“ პომპეზურად დაანონსდა, რომ მომღერლის მკურნალობისთვის 90 ათასი ლარი შეგროვდა. ამას დაემატა მომღერლის კოლეგების მიერ დაგ საკონცერტო დარბაზში გამართული ტელემარათონიც:



„სხვადასხვა ადამიანებისგან შეპირებული თანხიდან ანგარიშზე ყველა არ დამდგარა. ზოგმა გადმორიცხა, ზოგმა კი – არა. სიმართლე გითხრათ, მე ცოტა ნაწყენი ვარ იმ ადამიანებზე, ვინც ჩემი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა საკუთარი პიარისთვის გამოიყენა. ყველას, ვინც დამეხმარა, ძალიან დიდ მადლობას ვუხდი. გადაცემებში უამრავი ზარი იყო ჩარიცხული. ამ ადამიანებისაგან იმხელა სიყვარული და ტალღა წამოვიდა, მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ანგარიშზე ზოგიერთების მხრიდან თანხა არ ჩარიცხულა. გადაცემებში ბოლოს გამოჩნდა, რომ საბოლოოდ 90 ათასი ლარამდე შეგროვდა, თუმცა ანგარიშზე 22 ათასი ლარი ჩამერიცხა“, – აღნიშნა მომღერალმა.

მომღერლის საბანკო ანგარიშზე არ აღმოჩნდა ბიზნესმენ მიხეილ ხუბუტიას მიერ დაპირებული 10.000 დოლარი. ბიზნესმენი გადაცემის მსვლელობისას ეკა კვალიაშვილს თანხის გადარიცხვას დაჰპირდა. როგორც ბიზნესმენმა ჟურნალისტებს განუმარტა, მან თავისი წარმომადგენლის დახმარებით ანგარიშზე ფული გადარიცხა, თუმცა, მისი თქმით, თანხა უკან დაუბრუნდა.

„თანხა გადავრიცხე იმ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც ჩემმა წარმომადგენელმა საქართველოდან მომაწოდა. თუმცა, ჩემდა გასაკვირად, თანხა უკანვე დამიბრუნდა“, – განაცხადა მიხეილ ხუბუტიამ.

მიხეილ ხუბუტია ეკა კვალიაშვილს ტელეფონით დაუკავშირდა და აღნიშნული თანხა ანგარიშზე გადარიცხა.

მომღერალი ეკა კვალიაშვილი მძიმე ნეიროფიბროზით დაავადებული, რაც მის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. მომღერალს მკურნალობა და გამოკვლევა ესაჭიროება, რაც ცოტა თანხებთან ნამდვილად არ არის დაკავშირებული. როგორც თბილისში მისმა მკურნალმა ექიმმა განაცხადა, ამჟამად დაავადება მიმდინარეობს, ამიტომ ის ეტაპი, რომელიც სხვადასხვა მომღერალის ყველანაირი გამოკვლევებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უნდა გამოიყენოს. ამჟამად მომღერალი საფრანგეთში იმყოფება, სადაც გამოკვლევებს იტარებს.

# ზაზა პაპუაშვილი: „კულტურის სამინისტრო რეორგანიზაციას საჭიროებს“



რუსთაველის თეატრის მსახიობი და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა პაპუაშვილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ გურამ ოდიშარიას უწყებაში რეორგანიზაციაა საჭირო:

„კულტურის სამინისტროში ბევრი რალაცა მოსაწესრიგებელია, ბევრი კითხვის ნიშანია და, ჩემი აზრით, ბევრი რამ უნდა მოწესრიგდეს. ბევრი რამ ამ სამინისტროში გამოსასწორებელია, შეიძლება, რეორგანიზაციაც საჭიროა, იმიტომ რომ უნდა გაჩნდნენ იქ ადამიანები, რომლებიც პროფესიონალურადაც და გადაწყვეტილების მიღების უნარითაც უნდა გამოირჩეოდნენ. ბევრი კითხვაა, ბევრი რამ არის გადაუწყვეტელი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდება“.

ეკა ირემაშვილი

# „პატარძლები“ ტრიბეკას კინოფესტივალზეა

ეკა ირემაშვილი

ქართული მხატვრული ფილმი „პატარძლები“ ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ, ტრიბეკას ფესტივალზე ნიუ იორკშია მიწვეული.

?16-26 აპრილს თინათინ ყაჯრიშვილის ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პატარძლები“ საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით წარდგება. ფილმს კინოფესტივალის მთავარი კონკურსის ფარგლებში აჩვენებენ. ქართველი რეჟისორის ნამუშევარი ამერიკის კინოფესტივალზე 12 უცხოურ ფილმს შორის იქნება წარმოდგენილი. ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი და ორგანიზატორი რობერტ დე ნიროა. სწორედ მისი მიწვევით ნახავს ამერიკელი მაყურებელი ქართული ფილმს, რომლის ჩვენება ფესტივალის განმავლობაში 4-ჯერ გაიმართება.

?ფილმი, რომელიც ფესტივალის მთავარ საკონკურსო პროგრამაში მოხვდა, ნუცას და მისი ქმრის გოგას ისტორიას მოგვითხრობს, რომელთა ცხოვრება გოგას დაპატიმრების გამო ციხეში ყოველთვიურ ვიზიტებად იქცა.

?ფილმი „პატარძლები“ ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა, რომელიც „მსოფლიო კინოს დახმარების“ პროგრამის ფარგლებში ფრანგული ინსტიტუტისა და საფრანგეთის ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გადაიღეს.

?საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ფილმმა „პატარძლებმა“ მონაწილეობა მიიღო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზეც. „პატარძლები“ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ერთ-ერთ სექცია „პანორამაში“ იყო ნაჩვენები, საბოლოოდ კი მხატვრული ფილმების კატეგორიაში „პანორამის მაყურებლის პრიზის“ გამარჯვებულებს შორის მესამე ადგილი დაიკავა. პროექტი დაფინანსდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამიდან „ქართული სეზონი“.?პროექტი ინიცირებულია ფილმ „პატარძლების“ პროდიუსერ ლაშა ხალვაშის მიერ.

# საყდრისში კარვების აქცია დაიწყო

ეკა ირემაშვილი

საყდრისის მაღაროს მიმდებარე ტერიტორიაზე საყდრისის გადარჩენის კომიტეტის მიერ ორგანიზებული კარვების აქცია დაიწყო. აქციის ორგანიზატორების თქმით, კარვების აქცია ტერიტორიაზე მინიმუმ ერთ კვირას გაგრძელდება. შემდეგ კი ისინი სიტუაციის მიხედვით გადაწყვეტენ, რა მოიმოქმედონ.

ამჟამად საყდრისთან შვიდი კარავია გაშლილი და ადგილზე მონაცვლეობით 25-30 ადამიანი იმყოფება. აქციის მონაწილეები მიმართავენ პრეზიდენტს და მასთან შეხვედრას ითხოვენ. მათი მოთხოვნები, რა თქმა უნდა, უცვლელია: დაუყოვნებლივ შეუშვან არქეოლოგები ობიექტზე, რათა მოხდეს ძეგლის ამჟამინდელი მდგომარეობის ასახვა და მონიტორინგი; ჩატარდეს სანდო და კვალიფიციური კვლევა; ვიდრე არ ჩამოყალიბდება და გასაჯაროვდება ჩვენთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის საბოლოო, კვალიფიციური, სანდო დასკვნა, ობიექტზე არ გაგრძელდეს სამუშაოები.

საყდრისის თემასთან დაკავშირებით ორგანიზაცია „მწვანე მუშტმა“ კულტურის სამინისტროსთან დაგეგმა აქცია-პერფორმანსი სახელწოდებით „ჩავაყენოთ საქმის კურსში გურამი“.

– შვებულებიდან დაბრუნებულმა გურამ ოდიშარიამ ტელევიზიით განაცხადა, რომ საყდრისთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციას არ ფლობს. ამასთან დაკავშირებით სტუდენტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები მორიგ აქციას ვმართავთ. პროტესტის ადრესატი იქნება არა მარტო მინისტრი და მისი მოადგილეები, არამედ სამინისტროს ყველა თანამშრომელი, რომლებიც თავიანთი უმოქმედობით ხელს უწყობენ საყდრისის განადგურებას. დღესდღეობით სამინისტრო და სააგენტო თავის ფუნქციას ვერ ასრულებენ, არამედ სრულიად საპირისპირო პოლიტიკას ახორციელებენ. რაც კიდევ უფრო კარგად გამოიხატა ამ ბოლო პერიოდში წარმოებული საქმიანობებით, იქნება ეს მემორანდუმის გაფორმება ძეგლების მნგრეველ და ბუნების გამანადგურებელ რუსულ კომპანიასთან. ფინანსისტების, იურისტებისა და სხვა სფეროს წარმომადგენლების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ. გამოდის, რომ კულტურის სპეციალისტების მუშაობა მხოლოდ ფორმალობაა და მათი ძირითადი ფუნქცია ყავის სმით შემოიფარგლება. – აღნიშნულია „მწვანე მუშტის“ განცხადებაში.

საყდრისის თემაზე მომუშავე გუნდის მიერ შემუშავებულია სპეციალური პეტიცია საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროსთვის სტატუსის აღდგენაზე:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 და საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ივლისის №563 ბრძანებათა საფუძველზე, საყდრისის უძველესი ოქროს მაღარო ამოღებულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიიდან.

ეს გადაწყვეტილება დაეფუძნა, ერთი მხრივ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2006 წელს საყდრისის ოქროს საბადოსთვის სამართლებრივად გაუმართავი დოკუმენტაციის საფუძველზე უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების გარემოებას, ხოლო მეორე მხრივ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის“ დასკვნას.

ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროს გამოესწორებინა წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა და სამართლებრივად გამართული უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭებინა საყდრისის უძველესი მაღაროსთვის, სამინისტრომ მხოლოდ გააუქმა ეს სტატუსი.

გარდა ამისა, სამინისტროში შექმნილი 11-კაციანი კომისიის შემადგენლობაში არ იქნა შეყვანილი არც ერთი ქართველი თუ უცხოელი სპეციალისტი, რომელიც საყდრისის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში უშუალოდ იღებდა მონაწილეობას. უფრო მეტიც, კომისიაში შეყვანილი იქნენ მატერიალური მოგებით დაინტერესებული მხარის, ოქროს მომპოვებელი კომპანიის „არემჯი გოლდის“ კონტრაქტორები, ის სპეციალისტები, რომლებსაც არ გააჩნიათ გამოცდილება სამთო არქეოლოგიასა და არქეომეტალურგიაში ან საერთოდ იმ არქეოლოგიური პერიოდის კვლევაში, რომელსაც ეკუთვნის საყდრისის უძველესი მაღარო.

კომისიაში შეყვანილ იქნა შესაბამისი არქეოლოგიური პერიოდის მხოლოდ ორი სპეციალისტი, რომლებმაც წერილობით დააფიქსირეს, რომ საყდრისის საბადო წარმოადგენს მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს, რომლის აღება, მისი ბოლომდე შესწავლის გარეშე, დაუშვებელია. მინისტრმა ამ სპეციალისტთა აზრი არ გაიზიარა და საყდრისის მაღაროს შემსწავლელ ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან კონსულტაციის გარეშე, იგივე ბრძანებით, ამ ობიექტის არქეოლოგიური შესწავლის დასრულება ა.წ. 15 სექტემბრით განსაზღვრა, რაც სრულიად არარეალური დროის მონაკვეთია ძეგლის სრულყოფილად შესწავლისთვის.

კომისიის წევრებიდან საერთო დასკვნას ხელი არ მოაწერა კულტურის სამინისტროს ორმა წარმომადგენელმა, თუმცა, მათ თავისი რეკომენდაცია ცალკე წარმოადგინეს წერილობით. სამინისტროს ამ თანამშრომლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ძეგლის სტატუსის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან (და არა გაუქმება, როგორც ეს მინისტრმა გააკეთა) და ძეგლის საბოლოო შესწავლის მიზნით, კომპანიასა და მკვლევარებს შორის შეთანხმება, რათა გონივრულ ვადებში მომხდარიყო ობიექტის შესახებ ამომწურავი ინ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


2 წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ,



შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დავეხმაროთ პატარა ელისაბედს.

თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე:

GE95LB071115428681940

☎ 577-544-222, 598-204-570



# განცხადებები

- სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა, 55 კვ.მ (დუპლექსი), გამოდგება საოფისედ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტერენტი გრანელის ქუჩა. ტელ: 574-88-13-80 რაშიდი.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

# მორიგი არასპორტული იდეა ფედერაციიდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის ხელმძღვანელებთან ერთად, პირველი ლიგის უმრავლესობა კლუბების თავკაცებიც შეიკრიბნენ. სხდომის შემდეგ, 12-დან 9 უმაღლესლიგელი კლუბის ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგის ვარიანტს.

ამ ზაფხულიდან 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგის პროექტს უმაღლესი ლიგის 9 კლუბის ხელმძღვანელმა დაუჭირა მხარი. წინაამდეგი მხოლოდ ორი იყო: „დინამო“ და „ზესტაფონი“. „ჩიხურამ“ თავი შეიკავა. ოღონდ, ამ ცხრავე კლუბის ხელმძღვანელმა იმ პირობით მოაწერა ხელი, თუ 5-წლიანი სახელმწიფო პროგრამა ამუშავდება და თანხა გამოიყოფა.

ეს იქნება მორიგი ქართული სპექტაკლი და, რბილად რომ ვთქვათ, უნიჭო გადაწყვეტილება იქნება, თუ ფეხბურთის ფედერაციამ გაითვალისწინა 9 გუნდის მხარდაჭერა და გუნდების რაოდენობა უმაღლეს ლიგაში 16-მდე გაზარდა.

პრინციპში, ფედერაციას ეს ყველაფერი აწყობს, რადგან საუბარი უკვე წინასაარჩევნო პროგრამაზე მიდის. გუნდების რაოდენობის გაზრდით ის კანდიდატი, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობიდან პრეზიდენტობას მოისურვებს, უფრო მეტ გარანტირებულ ხმას მიიღებს.

არადა, ამჟამინდელი ფედერაციის პრეზიდენტი უხელფასოდ მუშაობსო და ვის რაში სჭირდება ასეთი თანამდებობა, საკითხავი ეს არის... იქნებ სხვა კუთხით იშოვება ფული და ამიტომ არიან ასე ჩაბღაუჭებული სკამს. ეს სხვა კუთხე კი მთლად სამართლებრივი არ უნდა ჩანდეს.

სპექტაკლის დეტალები, ასე, თუ ისე, მიგახვედრეთ. მოდით, იმასაც ავხსნით, თუ რატომ იქნება გადაწყვეტილება უნიჭო.

ჯერ ერთი, შუა სეზონში, უფრო სწორად, მიწურულს, როდესაც გუნდები სპორტული პრინციპით იბრძვიან ქვედა ექვსეულში და უმაღლესში დასარჩენად, ამ კანონის მიღების შემდეგ რამდენად გულიანად და სუფთად ითამაშებენ? მეორეც: მერამდენედ უნდა დაირღვეს სპორტული პრინციპი?

16 გუნდიანი ჩემპიონატის შექმნის შესახებ წინადადებით მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტი, ფრიდონ ინჯია გამოვიდა. რატომაც არა – მისი გუნდი ვარდება უმაღლესი ლიგიდან და ეს რომელ პრეზიდენტს გაეხარდება? გარდა ამისა, ახლახან ყბადაღებული სახელმწიფო დაფინანსებიდან უმაღლესლიგელს გაცილებით მეტი თანხა ხვდება, ვიდრე პირველლიგელს და არც მსუყე და მუქთა თანხაზე იტყვის არავინ უარს.

ფედერაციასაც გვინდა შევახსენოთ: იყო ერთი ტური, სადაც 6 წყვილში არც ერთი მასპინძელი საკუთარ მოედანზე არ თამაშობდა. იმიტომ, რომ სტადიონი არ უვარგათ. ეს 12 და 16 გუნდში ასე უცებ რა გამოსწორდება?

მასობრიობა ძველი სიტყვაა და ჩვენც გაგვიგია. მხოლოდ გაგვიგია სკოლაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაშიც... მაგრამ არ გაგვიგია უმაღლეს ლიგაში და თუ მასობრიობის ხარჯზე გვინდა პრეზიდენტობა, მაშინ ნუ გადავდგამთ ამ უგუნურ ნაბიჯს ქართული ფეხბურთისთვის.

# ფედერაციასა და სპორტის მუზეუმს შორის მემორანდუმი გაფორმდა

მისასალმებელ ტრადიციას ამკვიდრებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. პერიოდულად, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატების მონაწილე მოზარდები ქართული სპორტის დიდების მუზეუმს ესტუმრებიან. მუზეუმი მდებარეობს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში და მასში თავმოყრილია სხვადასხვა დროს ქართველი სპორტსმენების მოგებული მედლები, თასები, სიგელები და ნაირგვარი ტიტულები.

ქართული სპორტის მუზეუმი ფასდაუდებელ საგანძურს ინახავს. იქ ნახავთ სხვადასხვა სინჯის ოლიმპიურ მედლებს, მსოფლიო, ევროპის და საბჭოთა კავშირის თასებს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და სპორტის მუზეუმს შორის გაფორმდა მემორანდუმი სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. მუზეუმს პირველები „მართვესა“ და „ბასტიონის“ საკალათბურთო სკოლების მოთამაშეები ეწვივნენ.

გიორგი ზაბახიძე, სუპერლიგის და ასაკობრივი ლიგების აღმასრულებელი დირექტორი:

– ქართული სპორტის ისტორია ძალიან მდიდარია და სამწუხაროა, რომ მას არათუ ბავშვები, საფუძვლიანად ბევრი პროფესიონალი სპორტსმენიც არ იცნობს. არადა, წარსულის ცოდნის, გათვალისწინების და დაფასების გარეშე დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლებელია. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ მომავალი თაობის ახლებური მიმართულებით აღზრდა გადაწყვიტა. ფედერაციის პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძის გუნდი მოწოდებულია იმისკენ, რომ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ახალგაზრდა კალათბურთელები ინტელექტუალურადაც მომწიფდნენ და არა მხოლოდ კალათბურთის მიმართულებით. მაქვს პატივი, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის ეს პირველი ნაბიჯი განვახორციელო და ქართული სპორტის მატიანე ახალგაზრდა კალათბურთელების პირველ ნაკადს გავაცნოთ. თუკი კარგი კალათბურთელი გინდა გამოხვიდე, მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეგიწყობს შენი ქვეყნის სპორტის ისტორიის ცოდნა. მისასალმებელია, რომ ეს ტრადიცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და ამიერიდან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მდებარე ქართული სპორტის მუზეუმში სისტემატიურად ივლიან მოზარდი კალათბურთელები. ძალიან კარგი იქნება თუ ამ სიახლეში აქტიურად ჩაერთვება საკალათბურთო სკოლები, კლუბები. ჩვენ მათ ყველანაირად დავეხმარებით რომ თავიანთ მოსწავლეებს გააცნონ სპორტის ისტორია. იმედი გვაქვს, ეს წამოწყება ხელს შეუწყობს პროფესიონალი, კეთილსინდისიერი და წარმატებული კალათბურთელების, ზოგადად სპორტსმენების აღზრდას.

ნანა მიქაძე, ქართული სპორტის მუზეუმის დირექტორი:

– მოხარულნი ვართ, რომ კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან მემორანდუმი გავაფორმეთ და იმედია, მას სხვა ფედერაციებიც მიბაძავენ. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი თაობა გაეცნოს ქართული სპორტის ისტორიას, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-3 საუკუნიდან იწყება. მომავალში კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად კიდევ უფრო მასშტაბურ ღონისძიებებს გავმართავთ და სხვადასხვა ასაკობრივი ლიგების მონაწილე ბავშვებს ვუმასპინძლებთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

რედინგი-ლესტერი ........................ 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-მალაგა ........................ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 33 | 26 | 4 | 3 | 72-22 | 82 |
| 2.რეალი | 33 | 25 | 4 | 4 | 94-32 | 79 |
| 3.ბარსელონა | 33 | 25 | 3 | 5 | 92-27 | 78 |
| 4.ბილბაო | 33 | 18 | 8 | 7 | 58-35 | 62 |
| 5.სევილია | 33 | 16 | 8 | 9 | 61-47 | 56 |
| 6.ვილიარეალი | 33 | 15 | 7 | 11 | 52-38 | 52 |
| 7.სოსიედადი | 33 | 14 | 9 | 10 | 56-50 | 51 |
| 8.ვალენსია | 33 | 12 | 8 | 13 | 46-46 | 44 |
| 9.ესპანიოლი | 33 | 11 | 8 | 14 | 37-42 | 41 |
| 10.ლევანტე | 33 | 10 | 10 | 13 | 30-41 | 40 |
| 11.მალაგა | 33 | 10 | 8 | 15 | 35-43 | 38 |
| 12.სელტა | 33 | 10 | 7 | 16 | 36-49 | 37 |
| 13.გრანადა | 33 | 11 | 4 | 18 | 30-46 | 37 |
| 14.რაიო | 33 | 11 | 4 | 18 | 39-70 | 37 |
| 15.ელჩე | 33 | 8 | 11 | 14 | 27-44 | 35 |
| 16.ოსასუნა | 33 | 9 | 7 | 17 | 28-53 | 34 |
| 17.ვალიადოლიდი | 33 | 6 | 14 | 13 | 32-50 | 32 |
| 18.ხეტაფე | 33 | 8 | 7 | 18 | 29-51 | 31 |
| 19.ალმერია | 33 | 8 | 6 | 19 | 34-64 | 30 |
| 20.ბეტისი | 33 | 5 | 7 | 21 | 28-66 | 22 |

**იტალია. სერია ა**

უდინეზე-იუვენტუსი ........................ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 28 | 3 | 2 | 71-22 | 87 |
| 2.რომა | 33 | 24 | 7 | 2 | 68-19 | 79 |
| 3.ნაპოლი | 33 | 20 | 7 | 6 | 63-35 | 67 |
| 4.ფიორენტინა | 33 | 17 | 7 | 9 | 56-37 | 58 |
| 5.ინტერი | 33 | 13 | 14 | 6 | 55-35 | 53 |
| 6.პარმა | 33 | 13 | 12 | 8 | 53-42 | 51 |
| 7.ტორინო | 33 | 13 | 9 | 11 | 49-42 | 48 |
| 8.მილანი | 33 | 13 | 9 | 11 | 50-44 | 48 |
| 9.ლაციო | 33 | 13 | 9 | 11 | 44-44 | 48 |
| 10.ატალანტა | 33 | 14 | 4 | 15 | 38-44 | 46 |
| 11.ვერონა | 33 | 14 | 4 | 15 | 50-57 | 46 |
| 12.სამპდორია | 33 | 11 | 8 | 14 | 40-49 | 41 |
| 13.ჯენოა | 33 | 10 | 9 | 14 | 36-43 | 39 |
| 14.უდინეზე | 33 | 11 | 5 | 17 | 35-46 | 38 |
| 15.კალიარი | 33 | 7 | 12 | 14 | 31-45 | 33 |
| 16.კიევო | 33 | 8 | 6 | 19 | 30-49 | 30 |
| 17.ბოლონია | 33 | 5 | 13 | 15 | 27-51 | 28 |
| 18.ლივორნო | 33 | 6 | 7 | 20 | 36-64 | 25 |
| 19.სასუოლო | 33 | 6 | 7 | 20 | 32-62 | 25 |
| 20.კატანია | 33 | 4 | 8 | 21 | 24-58 | 20 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დინამო-მიუნხენ 1860 ........................ 4:3

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

დიჟონი-მეცი ........................ 2:2

**პორტუგალია. ა ლიგა**

ეშტორილი-ფერეირა ........................ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ვოლგა-დინამო ........................ 0:5

**თურქეთი. სუპერლიგა**

ელაზიგი-გაზიანტეპი ........................ 2:1

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

ბრნო-სიგმა ........................ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ესბიერგი ........................ 0:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ბრომაპოიკარნა-გიოტებორგი ...... 1:1

კალმარი-ელფსბორგი ........................ 0:0

# კონფერენცია – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა – გამოწვევები და პერსპექტივა“ გაიხსნა

საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით მიმდინარეობს კონფერენცია თემაზე – „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ ექსპერტები სლოვენიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და უკრაინიდან. გუშინ კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნა. კონფერენციაში მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა, მოადგილე თამაზ თევზაძემ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.



კონფერენციის გახსნის ნაწილს დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე; კონფერენციაზე მოწვეულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, მოქმედი და ვეტერანი სპორტსმენები, მედია და სხვა დაინტერესებული პირები. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი კონფერენცია საქართველოში პირველად ტარდება.

კონფერენციის ძირითადი თემებია:

საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება;

სპორტის სამართლებრივი ბაზა და სპორტული არბიტრაჟი;

საქართველოში ოლიმპიური მოძრაობა და სპორტი ყველასათვის;

სპორტში ინვესტირების ხელშეწყობა და დაფინანსების გზები.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაზე.

დღეისათვის, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ქვეყანაში სპორტის განვითარებისა და არსებული პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიცირებით 2013 წლის 22 მაისს შეიქმნა საქართველოში სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების ხელშემწყობი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად დაამტკიცა შესაბამისი თემატური ჯგუფები.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოსა და შესაბამისი თემატური ჯგუფების ინტენსიური მუშაობის შედეგად, ა.წ. 4 აპრილს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი“. ხსენებული პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოში სპორტის სფეროს განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს.

ქვეყანაში სპორტის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია სფეროში ჩართული სუბიექტების მოსაზრებებისა და შენიშვნების მოსმენა, განხილვა და გათვალისწინება. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში ამ სფეროში არსებული კარგი გამოცდილებისა და საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესწავლა; არსებული რეალობის გათვალისწინებით საქართველოში მათი დანერგვა.

სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით სუბიექტთა აზრების, კომენტარებისა და რეკომენდაციების შეჯერებისთვის წარმომადგენლობითი კონფერენციის ჩატარება ერთ-ერთ საუკეთესო ინსტრუმენტს წარმოადგენს.

კონფერენციის „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“ მიზნებია:

საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიმოხილვა;

საქართველოს სპორტის სფეროში არსებული გამოწვევებისა და პერსპექტივის განსაზღვრა;

საქართველოს სპორტული სამართლებრივი ბაზის განვითარებისთვის აუცილებელი ქმედებების განსაზღვრა;

სპორტის განვითარებისთვის ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების განხილვა; ამ მიმართულებით სამომავლო ქმედებების განსაზღვრა;

სპორტის სფეროში კარგი მმართველობის და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა;

საქართველოში სპორტული არბიტრაჟის განვითარებისთვის არსებული შესაძლებლობების განხილვა.

კონფერენციის ამოცანები:

სპორტის სფეროში თანამედროვე საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციური საფუძვლების შექმნას;

სპორტის სფეროში ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

საქართველოში სპორტული არბიტრაჟის განვითარების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე არსებული სპორტის სფეროს მართვასა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით საუკეთესო ევროპული გამოცდილების დანერგვის ხელშეწყობა საქართველოში.

კონფერენციის ძირითადი განსახილველი თემებია:

საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა;

სპორტის სამართლებრივი ბაზა და სპორტული არბიტრაჟი;

სპორტში ინვესტირების ხელშეწყობა და დაფინანსების გზები.

კონფერენციაში მონაწილეობენ შემდეგი დაინტერესებული მხარეები:

საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სხვა სამთავრობო ინსტიტუციები და საქართველოს პარლამენტი;

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები;

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტები;

არასამთავრობო ორგანიზაციები, სპორტული კლუბები და ადგილობრივი სპორტული ფედერაციები;

სპორტული მასმედია;

საერთაშორისო ინსტიტუციები;

ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები.

კონფერენციაში მოწვეულნი არიან ექსპერტები შემდეგი ქვეყნებიდან:

სლოვენიის რესპუბლიკა; ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთის სამეფო და უკრაინა.

მოსალოდნელი შედეგები:

კონფერენციის შედეგად მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართლებრივი ბაზის დახვეწასთან დაკავშირებით. ასევე კონფერენციის ფარგლებში მომზადდება დეკლარაცია, რომელსაც ხელს მოაწერენ პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა კაბინეტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები, ასევე კონფერენციის სხვა მონაწილეები. დეკლარაცია წარმოადგენს ხელმომწერთა ნებას, ხელი შეუწყონ საქართველოში სპორტის განვითარებას.

# ექვმიტანილი სკანდალი თუ ალოგიკური სანქციები

მოდით კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ახლახან საქართველოში აგორებულ საფეხბურთო სკანდალს.

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა სფფ-ის სპორტული სამართლიანობის ჯგუფის შუამდგომლობა 2010-11 და 2012-13 წლების სეზონების მატჩების შესახებ, რომლებზეც უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებულ იქნა პატაკები.

სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, სპორტული სამართლიანობის ჯგუფმა, სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა პრევენციული ხასიათის სადისციპლინო სანქციის გატარება იმ კლუბებზე, რომელთა შესახებ უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებულ იქნა პატაკები, რომ ადგილი ჰქონდა ამ მატჩების შედეგების თუ მათი მიმდინარეობის მანიპულირებას ტოტალიზატორებში მოგების მიღების მიზნით.

პარალელურად, ეს მატჩები გადაეცემა საეჭვო თამაშების შემსწავლელ კომისიას და შინაგან საქმეთა სამინისტროს.

სადისციპლინო კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე კი, სფფ-ის მოქმედი სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, სადისციპლინო კომიტეტმა დააწესა პრევენციული ხასიათის სანქციები შემდეგი კლუბების მიმართ:

„მეტალურგი“ (რუსთავი) – 20.000 ლარი; „კოლხეთი 1913“ (ფოთი) – 20.000 ლარი; „დილა“ (გორი) – 23.000 ლარი; „მერანი“ (მარტვილი) – 23.000 ლარი; „სიონი“ (ბოლნისი) – 25.000 ლარი.

როგორც ფედერაცია განმარტავს, კლუბებს ფულადი სანქციები დაუწესდათ უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებული პატაკების რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, მეტი ჯარიმა აქვს იმ გუნდს, რომელიც უეფას პატაკში ყველაზე მეტჯერ მოხვდა – „მეტალურგი“ და „კოლხეთი“ სამ-სამჯერ, „დილა“ და „მერანი“ ოთხჯერ, ხოლო ბოლნისის „სიონი“ – ხუთჯერ.

სფფ-ის სპორტული სამართლიანობის ჯგუფის განცხადებით, დღეის მდგომარეობით არსებობს ინფორმაცია საეჭვო მატჩებისა და მასში მონაწილე სხვა კლუბების შესახებ, რომელზეც აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ახლო მომავალში, ამ მატჩების მონაწილე კლუბების წინააღმდეგ აღიძვრება სადისციპლინო პროცედურები სფფ-ის შესაბამის სადისციპლინო ორგანოებში.

მათივე თქმით, უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის სისტემიდან მიღებული პატაკები კონფიდენციალურია და კონკრეტული, საეჭვო მატჩების გასაჯაროება არ ხდება.

თუმცა, კიდევ გაიჟღერა ორი გუნდის სახელმა – „სამტრედია“ და ბათუმის „დინამო“. პირველი „მეტალურგთან“ მატჩში მონაწილეობდა, მეორე – „სიონთან“.

მათემატიკურად კიდევ ორი გუნდის სახელი უნდა გამოჩნდეს, თუმცა ჯერ არც მათი ვინაობა საჯაროვდება და არც რამე სანქციები დაკისრებიათ.

სანქციებზე გვინდა ვთქვათ: თუ კლუბი დამნაშავეა და მხილებულია გარიგებულ მატჩებსა და ტოტალიზატორებში თაღლითურად ფულის შოვნაში, მაქსიმუმ 25.000 ლარი ძალიან მცირე სასჯელი ხომ არ არის, მით უფრო, რომ თავად შესაძლოა, მილიონები ჰქონდეს ნაშოვნი.

მეორე: როგორც ფედერაციაში აცხადებენ. სასჯელი პრევენციული ხასიათის არის. ვერ გეტყვით, რას ითვალისწინებს უეფას რეგულაციები, მაგრამ თუ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას მივილებთ მხედველობაში, უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი კლუბი ეჭვის საფუძველზე არანაირ სანქციებს არ ითვალისწინებს. მეტიც, სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ, ხოლო ქვეყნის უზენაეს კანონი – კონსტიტუცია ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმპციას, რომლის დარღვევამაც შეიძლება სერიოზული სამართლებრივი სანქციები გამოიწვიოს. მაგალითად, შეიძლება კლუბებმა დაიცვან თავიანთი უფლებები და მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო.

როგორც უკვე ვთქვით, ერთადერთი ნორმატიული აქტი, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს ამგვარ ნორმას და შესაბამის სანქციებს, არის უეფას რეგულაციები, თუმცა უცნობია, როგორ არის მისი რეგულაციები ინპლემენტირებული საქართველოს კანონმდებლობასთან. და მაინც: საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის უმაღლესი ნორმატიული აქტია და ყველა საერთაშორისო დოკუმენტი თუ შიდა კანონი, რომლის გავრცელებაც გვინდა საქართველოს ტერიტორიაზე, უნდა შეესაბამებოდეს მას. ძალიან საინტერესოა, რა ნორმებს დაეყრდნო სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტილების გამოტანისას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მინის თეატრი „მაკბეტს“ გაითამაშებს

ეკა ირემაშვილი

16 და 17 აპრილს მინის თეატრში პრემიერაა. ახალი სპექტაკლი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის სცენაზე გათამაშდება. მაყურებელი იხილავს ეჟენ იონესკოს პიესას „მაკბეტტ“. სპექტაკლი დაიდგა ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსებითა და კომპანია „ჯორჯია ექსპრესის“ თანადგომით. მინის თეატრის დამფუძნებელი რეზო შატაკიშვილი წარმოადგენს სპექტაკლს „მაკბეტტ“.

– სპექტაკლი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ირყვნება სუფთა, მაღალი იდეალებით გულანთებული ადამიანი თანდათან, როცა მასში აღწევს აღზევების, ძალაუფლების წყურვილის ბაცილა. თუ როგორ ჩნდება შეუმჩნევლად შური და როგორ არღვევს იგი მეგობრობას, როგორ ადენინებს ადამიანს კაენის ცოდვას. სადამდე მივყავართ ნებისმიერ, ერთი შეხედვით იქნებ უმნიშვნელო მორალური კომპრომისის დაშვებას, ერთი კომპრომისი როგორ იწვევს მორიგ კომპრომისებს და როგორ ითრევს ადამიანებს ჭაობში, როგორ რყვნის და ანადგურებს მათ. როგორ აგორებენ ადამიანები მოვლენას და როგორ მართავს შემდეგ ეს მოვლენა ადამიანებს. ამბობს კიდეც იონესკოს მაკბეტი: „თურმე, მოვლენები მართავს ადამიანს და არა ადამიანი – მოვლენებს“. ჩვენ გვინდა მოვყვეთ იმაზე თუ როგორ ვირყვნებით და როგორ ვკარგავთ ადამიანის სახეს. – აცხადებს სპექტაკლის რეჟისორი რეზო შატაკიშვილი.




ორმოქმედებიანი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, სცენოგრაფი და მუსიკალური გამფორმებელი რეზო შატაკიშვილია. სპექტაკლის დეკორაციაში, კოსტიუმებში გამოყენებულია რუსუდან ფეტვიაშვილის ბავშვობისდროინდელი ნამუშევრები. პიესა თარგმნეს ელზა ნაბახტეველმა და რეზო შატაკიშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: ანდრია გველესიანი (მაკბეტტ), მედეა ახალაძე (ლედი დანკანი), ბექა კულიჯანაშვილი (ბენკო), გიორგი გოგუაძე (დანკანი), ნინო იოსელიანი (სეფექალი), ლაშა მელაშვილი (შექსპირის მაკბეტი), ნიკა ჩხაიძე (კავდორი), გიორგი იარაჯული (გლამისი), გიორგი ძაგანია (მაკოლი), თორნიკე დილმელაშვილი (მეფის ოფიცერი), დავით თურქიაშვილი (დაჭრილი ჯარისკაცი, მეფის მასხარა) და ელდარ ფუტკარაძე (პეპლებზე მონადირე).

რეზო შატაკიშვილის ინფორმაციით, მინის თეატრისეულ ვერსიაში ორი მაკბეტია – შექსპირის და იონესკოსი:

– სცენაზე ამბავი ასე თამაშდება – მსახიობების დასს რეპერტუარში აქვთ როგორც შექსპირის „მაკბეტი“, ისე იონესკოს „მაკბეტტ“. მსახიობებს უნდათ და იწყებენ კიდეც შექსპირის თამაშს, თამაშობენ მანამ, ვიდრე არ შეახსენებენ, რომ უნდა ითამაშონ იონესკო. სპექტაკლში გამოყენებულია ფრაგმენტები შექსპირის „მაკბეტიდან“. შექსპირის მაკბეტს ახმოვანებს ზურაბ ყიფშიძე. – აცხადებს რეჟისორი.

# ბადრი ბეგალიშვილს მუსიკისა და დრამის თეატრში გაიხსენებენ



ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობს ბადრი ბეგალიშვილს მუსიკისა და დრამის თეატრში გაიხსენებენ. მსახიობის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო 17 აპრილს გაიმართება.

– საქართველოს სახალხო არტისტს, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო პროფესიული თეატრის მსახიობს, ღირსების ორდენის კავალერს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საპატიო მოქალაქეს ბადრი ბეგალიშვილს როგორც თეატრში, ასევე ფილმებში არაერთი დაუვიწყარი სახე შეუქმნია. ბატონ ბადრი ბეგალიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოდგენილი იქნება ნაწყვეტები მის მიერ შესრულებული როლებიდან როგორც თეატრში, ასევე კინოში. საღამოზე მოწვეული სტუმრები, კოლეგები და მეგობრები გაიხსენებენ მის მოღვაწეობას, ცხოვრებას და შემოქმედებით გზას. აგრეთვე მოწვეული მსახიობები და ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასის წევრები წარმოადგენენ მუსიკალურ ნომრებს იმ რეპერტუარიდან, რომელშიც ბატონი ბადრი მონაწილეობდა. საღამოს წაიყვანს მისი უმცროსი ვაჟი ბადრი ბეგალიშვილი, – აცხადებენ მუსიკისა და დრამის თეატრში.

ბადრი ბეგალიშვილი შარშან, 16 მარტს, 80 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. სხვადასხვა წლებში ის იყო ზუგდიდის თეატრის მსახიობი, თბილისში კი მუშაობდა სახელმწიფო ფილარმონიაში, მარჯანიშვილის თეატრში, მუსკომედიის თეატრში. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არტისტის და საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები. თეატრსა და კინოს ყოველთვის უთავსებდა ერთმანეთს. „ჩარი რამა“, „ჩირიკი და ჩიკოტელა“, „კაცია ადამიანი?!“, „თეთრი ბაირაღები“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც მსახიობმა მიიღო მონაწილეობა. მისი ერთ-ერთი ბოლო ფილმი კი რეზო ჩხეიძის „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ აღმოჩნდა.

# „ჩვენმა მწერლობამ“ დავით დვალიშვილთან შეხვედრას უმასპინძლა

თბილისი. მედიანიუსი. 15.04.14. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში სახელოვან მსახიობ დავით დვალიშვილთან შეხვედრა გაიმართა.

როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ამ კოლორიტული მსახიობის საქმიანობა იმის დასტურია, რომ თეატრსა და კინოში მეორეხარისხოვანი როლები არ არსებობს და ეს მხოლოდ პირობითობაა. როსტომ ჩხეიძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მის როლებზე ტელესპექტაკლებში: „ოპერაცია დეიდა ტასო“ და „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. ორივე დადგმაში მისი თამაში მართლაც ფილიგრანულია.

„დავით დავლიშვილი ქართულ სერიალებშიც გამოდის ხოლმე. სწორედ მისნაირი მსახიობები ახერხებენ, სერიალი რაღაცით საინტერესო, მნიშვნელოვანი გახადონ. როცა ასეთი კოლორიტული მსახიობი თამაშობს, ის სწევს სერიალის დონეს მაღლა და მაყურებელი გულისყურით მიადევნებს მის თამაშს თვალს“, – აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

მისივე შეფასებით, დავით დვალიშვილმა სპექტაკლ „ქაქუცა ჩოლოყაშვილში“ ნოე ჟორდანიას ისეთი სახე შექმნა, როგორიც ის სინამდვილეში იყო – მსახიობი ჟორდანიას სულაც არ აიდეალებს, თითქოს მას ქვეყნის წინაშე ღვაწლი მიუძღოდეს.

„დავით დვალიშვილი სპექტაკლში, ფილმში, სერიალში – ნიშნავს, რომ ის დასამახსოვრებელი უნდა იყოს“, – დასძინა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც თეატრმცოდნე გუბაზ მეგრელაძემ განაცხადა, დავით დვალიშვილზე საუბარი იოლია, რადგან მისი ყველა როლი ადვილად გასაგებია და მაყურებლამდე მიდის. ადვილია მასთან ურთიერთობაც, რადგან ძალიან უშუალო ადამიანია.

„დავით დვალიშვილს თეატრში 80-მდე, კინოში კი 18-მდე როლი აქვს შესრულებული. საკმაოდ იშვიათია შემთხვევა, ამდენი როლი ისე კარგად ითამაშო, რომ შენზე მხოლოდ დადებითი დაიწეროს და კრიტიკული დამოკიდებულება არ იყოს“, – აღნიშნა გუბაზ მეგრელიძემ.

როგორც თვითონ დავით დვალიშვილმა განაცხადა, მისი პროფესიის არჩევაზე გავლენა სამტრედიაში მცხოვრები არქიფო სიგუას არტისტულმა ნიჭმა და შეყვარებულმა გოგონამ მოახდინეს, რომელიც ამბობდა, რომ ცოლად მხოლოდ მსახიობს გაჰყვებოდა. მსახიობად მის ჩამოყალიბებაში კი ყველაზე დიდი წვლილი გრიშა ტყაბლაძეს მიუძღვის. მან თეატრსა და კინოში არებულ პრობლემებზეც ისაუბრა და სინანულით აღნიშნა, რომ ახლა სპექტაკლებში მხოლოდ ტექსტი და ტანსაცმელი იცვლება, ზოგჯერ კი ტექსტიც იგივე რჩება.

იოსებ ჭუმბურიძემ საგანგებოდ აღნიშნა ასეთი შეხვედრების განსაკუთრებული მნიშვნელობა: „ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობდით დავით დვალიშვილს – მსახიობს. დღეს გავიცანით დავით დვალიშვილის – პიროვნება, თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, რომელსაც აქვს პოზიცია, პრინციპები და ამას გულახდილად და დაურიდებლად გამოხატავს“.

ნოდარ მგალობლიშვილმა დავით დვალიშვილის მართლაც შესანიშნავი ზეპირი თეატრალური პორტრეტი მოხაზა. შეხვედრაზე დავით დვალიშვილმა დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: დალილა ბედიანიძე, გურამ ბათიაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, მანანა გაბაშვილი, თამარ რაზმაძე, ეკა ბუჯიაშვილი, გივი გამრეკელი, პაატა ჩიქოვანი, ლევან ქურციკაშვილი, ნინო საბაშვილი.

მედიანიუსი

# საყდრისში კარვების აქცია დაიწყო

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფორმაციის მიღება, რაც, მათი აზრით, აუცილებელია შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად. მინისტრმა არც ამ კომისიის წევრთა, ანუ მისივე თანამშრომელთა, რეკომენდაციები გაითვალისწინა!

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც სულ სხვა არქეოლოგიური პერიოდის სპეციალისტია, ყოვლად უსუსური არგუმენტაციით, დაასკვნა, რომ საყდრისში უძველესი ოქროს მაღარო არასოდეს ყოფილა. ეს ის პიროვნებაა, რომელიც, ამავდროულად, არის არქეოლოგიური კომისიის წევრიც, იმ კომისიის, რომელსაც ევალება არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიშების განხილვა/შეფასება, თუმცა, წლების მანძილზე, მას არც არქეოლოგიურ კომისიაზე და არც საყდრისისადმი მიძღვნილი საანგარიშო მოხსენებების მოსმენისას, არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ, რომ ეს ძეგლი არის უძველესი ოქროს საბადო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კულტურის მინისტრის გადაწყვეტილება დაეფუძნა შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე და ტენდენციურად განწყობილი კომისიის წევრების დასკვნებს.

მოვითხოვთ, საყდრისის უძველეს მაღაროს თავიდან მიენიჭოს უძრავი ძეგლის სტატუსი და გაგრძელდეს დაგეგმილი საერთაშორისო, ინტერდისციპლინური კვლევა წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე“. – აღნიშნულია პეტიციაში.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა კი საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით კულტურის სამინისტროს დასკვნა მთავრობის ადმინისტრაციაში გაასაჩივრა. შესაბამისი ადმინისტრაციული საჩივრით მან მთავრობის ადმინისტრაციას უკვე მიმართა.

– ვასაჩივრებ კულტურის სამინისტროს მიერ 13 მარტს გამოქვეყნებულ დასკვნას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კომპანია „არემჯი გოლდს“ ეძლევა „მწვანე შუქი“ კულტურული მემკვიდრეობის საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი არქიტექტურული ძეგლის ნგრევაზე. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მთავრობის ადმინისტრაციის შემდეგ უკვე სასამართლოს მივმართავ. – აღნიშნა მარინე მიზანდარმა.

მისივე თქმით:

– საყდრისის, უძველესი ქართული კულტურული ძეგლის გადასარჩენად პროტესტის ამგვარ ფორმაში გადაზრდა გამოიწვია იმ მოთხოვნების შეუსრულებლობამ, რომლითაც საყდრისის გადარჩენის კომიტეტმა 31 მარტს წერილობით და საჯაროდ მიმართა პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს. კომიტეტმა პასუხი მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიიღო. საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული საბადოს ტერიტორიაზე უკვე შევიდა ტექნიკა და იქ ნგრევითი სამუშაოები დაიწყო. ეს ფაქტი დიდ საზოგადოებრივ პროტესტს გამოიწვევს, რადგან ამ ძეგლის მიმართ საჯარო ინტერესი მაღალია. სამინისტროს 13 მარტის გადაწყვეტილებით კი ძეგლზე სამუშაოები არქეოლოგიური ექსპერტების მონაწილეობით უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ეს არ გაკეთდა და ამის სანაცვლოდ იქ კომპანიამ სამუშაოები დაიწყო.

საყდრისის გადარჩენის კომიტეტმა 31 მარტს წერილობით და საჯაროდ მიმართა პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს. კომიტეტმა პასუხი მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიიღო. თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა დაგეგმა.

– ეს მთავრობის კომპეტენციაა და არ ვთვლი, რომ ამ ეტაპზე ამ საკითხზე ჩემი პოზიცია უნდა დავაფიქსირო. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, მე მათ შევხვდები, მაგრამ არის საკითხები, რომელიც მგონია რომ მთავრობის კომპეტენციაა. ჩვენ ვიმყოფებით რეალობაში, როცა ახალი კონსტიტუცია მოქმედებს. პრეზიდენტის კომპეტენციაა ტერიტორიული მთლიანობა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და არა ყველა საკითხი, თუნდაც ემოციურად მნიშვნელოვანი. – განმარტავს პრეზიდენტი.

საპროტესტო აქციების მონაწილეებმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წერილიც დატოვეს, სადაც საქართველოს პრეზიდენტს სთხოვეს, საყდრისი-ყაჩაღიანის ისტორიული საბადოს გადარჩენის საკითხი პირად კონტროლზე აიყვანოს:

„ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩაგაყენოთ საქმის კურსში თქვენ, როგორც პრეზიდენტი – საყდრისი საფრთხეშია! ჩვენ სხვა გზა აღარ დაგვრჩა, მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს. საყდრისთან კარვები გაიშლება და ახალგაზრდები და საზოგადოების სხვა აქტიური წევრები პერმანენტულად გავაპროტესტებთ იქ მიმდინარე მოვლენებს. მივმართავთ სხვა რადიკალურ ზომებსაც, თუ სხვა გზა არ დაგვრჩება. იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის წინაშე დადებული საპრეზიდენტო ფიცი გულიდან მომდინარე იყო და ამ სულისკვეთების განსახორციელებლად ქართველი ერისგან მონიჭებულ უფლებას ჯეროვნად გამოიყენებთ! სასწრაფოდ ვითხოვთ თქვენთან შეხვედრას, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს საყდრისთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ჩვენი ქვეყნის პრესტიჟსა და მომავალს საფრთხის წინაშე აყენებს“. – აღნიშნულია განცხადებაში.

„საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი“ კულტურის სამინისტროსაც მიმართავს, ობიექტს დაუბრუნდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და შეწყდეს საბადოდან წიაღისეულის მოპოვების პროცესი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პატარა მოთხრობა; 2. ბრიტანული არაყი; 3. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში; 6. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 9. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 11. ყირგიზეთის დედაქალაქი; 15. მაღალხარისხოვანი ქვანახშირი; 16. ტყავის დამზადების ოსტატი; 17. ისლამის ფუძემდებელი; 19. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა, რასაც თან სდევს უეცარი გულის წასვლა და დამბლა; 21. სპეციალური მარხილებით შეჯიბრება, სწრაფდაშვება; 22. გარეული მტრედი.

**თარაზულად:** 5. მცირე სიმაღლეზე ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 7. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 8. ქართველი დირიჟორი; 10. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 12. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 13. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 14. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 18. უნგრული ღვინო; 20. გარდაუვალი ბედი, ბედისწერა; 23. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 24. ფეხბურთელთა გუნდის მცველის ძველებური სახელწოდება; 25. სოფელი თბილისის მახლობლად; 26. საქონლის სუფთა წონა, შეუფუთავად; 27. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნადური; 2. პარმა; 3. ტაიმსი; 4. აიმაკი; 6. გლიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 15. ლითოსფერო; 16. ქენონი; 17. ფუფუნება; 19. აბატისა; 21. პატენტი; 22. ბატატი.

**თარაზულად:** 5. ყაპუზუნა; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. სლოგანი; 12. კრინი; 13. სუომი; 14. ყიზილბაში; 18. კაფკა; 20. ბეშუმი; 23. ფაუსტი; 24. ტუფი; 25. ლენონი; 26. ტარო; 27. ატლანტა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ზეკარი; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. არლანი; 6. თუთიყუში; 8. მილანი; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. კაისა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად:** 1. ზაფხული; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარვალი; 14. ფეტიში; 15. მილი; 19. აჯამეთი; 20. რეფლექსი; 21. ნატახტარი; 22. ტიბეტი.

# ვინ უქმნის საფრთხეს ბათუმის პორტს

შორენა გონგლაძე

ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის" დირექტორ ტალგატ ბაიტაზიევს ქართული და საერთაშორისო კომპანიები სახელშეკრულებო პირობების უხეშ დარღვევაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ კომპანია „ტრანსსისტემის" ადვოკატი დიმიტრი გაბუნია აცხადებს, გაბუნიას თქმით, ბათუმის ნავსადგურს მნიშვნელოვანი სტრატეგიული დატვირთვა აქვს, ამიტომ იქ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ბევრი კითხვა არსებობს.

დიმიტრი გაბუნიას განცხადებით, ტალგატ ბაიტაზიევის პერსონით და მისი მოღვაწეობით ბათუმის პორტში აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ქართული სამართალდამცავი ორგანოები.

– საქმე ეხება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტს, რომელსაც მართავს საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანი. ტალგატ ბაიტაზიევი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ კომპანიებს, არამედ მთლიანად ბათუმის პორტის განვითარებას, რაც, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ტალგატ ბაიტაზიევმა, რომელიც თავის ქვეყანაში გარეულია არაერთი კრიმინალური დაჯგუფების გარიგებებში, დღეის მდგომარეობით, ბათუმის პორტი მიიყვანა კოლაფსამდე. ეს გულისხმობს იმას, რომ ტვირთები გადაზიდვა წინა წლებთან შედარებით კატასტროფულადაა შემცირებული, ორი კვირის წინ იყო გაფიცვა, ბროკერები ველარ მუშაობენ და ასე შემდეგ. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის საბოტაჟი ქართული კომპანიებისა და ზოგადად ბათუმის პორტის მიმართ. ის მიზანმიმართულად ეწევა კომპანია „ტრანსსისტემის" შევიწროებას, ასევე ადგილი აქვს, გარკვეულ კორუფციულ გარიგებებს. ჩვენ სარჩელს შევიტანთ ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ასევე საჩივრით მივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურატურას. ჩვენ ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებამ არ იცის, რა ხდება თუნდაც ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან დაკავშირებით. ეს არ არის ერთი ჩვეულებრივი კომპანიის მეორე ჩვეულებრივ კომპანიასთან დავა. ამას აქვს ქვედინებები და ქვეტექსტები. ეს მთლიანად რეგიონზე იმოქმედებს. ეს არის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები, საზღვაო ნავსადგურები და საომარი მოქმედებების დროს მათ ძალიან დიდი დატვირთვა აქვთ. იმ სიტუაციებიდან გამომდინარე, რაც მსოფლიოში ვითარდება, ხომ არ არის ეს მიზანმიმართულად გაკეთებული? გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიმდინარეობს მიზანმიმართული გაკოტრება ბათუმის საზღაო ნავსადგურის, იმიტომ, რომ სხვა არაფერია ტალგატ ბაიტაზიევის მსგავსი საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანის დანიშვნა აქ, ამის მერე პორტის უკან-უკან წასვლა და ქართული კომპანიების გამოდევნა, თუ არა, რომ მოამზადონ ბათუმის ნავსადგური, რათა გადასცენ კონკრეტული ქვეყნის, ჩვენი მოწინააღმდეგე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიღაც კომპანიას. ამის საფუძვლიანი ეჭვები არის, ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ მთავრობას, რომ დაუყონებლივ იქნეს შესწავლილი ბათუმის საზღვაო ნავსადგურში არსებული მდგომარეობა და ეს ქვეტექსტები და ქვეკითხვები მოიხსნას. – განაცხადა გაბუნიამ. მისივე ინფორმაციით, ტალგაზ ბაიტაზიევი, რომელიც „ბათუმი ინდუსტრიალ ჰოლდინგის" დირექტორად 2012 წლის დეკემბერში დაინიშნა, ინვესტიციებს სეპარატისტულ დნესტრისპირეთშიც ახორციელებს, რაც ბევრ კითხვას ბადებს.

– მინდა, ვუთხრა საზოგადოებას, რომ ტალგაზ ბაიტაზიევი არის ადამიანი, რომელიც ინვესტიციებს ახორციელებს სეპარატისტულ დნესტრისპირეთში. ვსვამ ძალიან მარტივ კითხვას: რა უფლებით და ვისი ლობირებით ახორციელებს და ვისი მეშვეობით დაინიშნა ტალგატ ბაიტაზიევი, კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანი? ამ ადამიანმა, რომელსაც არავითარი ეთიკა და სამართლებრივი საზღვრები არ აქვს, ხვალ შეიძლება სოხუმის საზღვაო ნავსადგურშიც განახორციელოს ინვესტიციები და ეს ფული წავიდეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. – განაცხადა გაბუნიამ.

გაბუნიამ ყაზახურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციაც წარმოადგინა, რომლის თანახმად, იმ საწარმოს წინააღმდეგ, რომლის ხელმძღვანელის ბაიტაზიევი იყო, ყაზახეთის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

კომპანია „ტრანსსისტემის" დირექტორის გელა ლაითაძის განცხადებით, კომპანია ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ბათუმის პორტის ბაზარზე.

– თუკი „ტრანსსისტემის" შესვლამდე პორტის მშრალი ტვირთის გადაზიდვის საშუალო მაჩვენებელი 1 მილიონ ტონამდე იყო, კომპანიის მუშაობის შემდეგ ის მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც მოწმობს „ტრანსსისტემის" 3 წლის მონაცემები. 2013 წლის პირველი კვარტლის შემდეგ ტალგატ ბაიტაზიევმა დაიწყო ჩვენი შევიწროვება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ პარალელურ რეჟიმში, მან 2013 წელს შექმნა რამდენიმე ახალი კომპანია, მათ შორის ერთ-ერთი „ჯპმს გრუპი" პირადად ჩვენს კონკურენტად. მიუხედავად რამდენიმეთვიანი გამოცდილებისა, ამ კომპანიამ ასევე 2013 წლის ივნის-ივლისში ბათუმის საზღვაო ნავსადგურმა გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კომპანიას მიეცა ნავსადგურის საბაზისო ტარიფებიდან 20%-ნი ფასდაკლება ყოველგვარი ვალდებულებების გარეშე. – აცხადებს გელა ლაითაძე.

# ევროკავშირმა სანქციადაწესებულ რუს მაღალჩინოსანთა სია გაზარდა




ევროკავშირმა იმ რუს მაღალჩინოსანთა სია გაზარდა, რომლებსაც უკრაინაში განხორციელებული ქმედებების გამო სანქციები დაუწესა. ამის შესახებ ინფორმაციას „ევრონიუსი" ავრცელებს. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონის განცხადებით, სანქციები გულისხმობს ევროკავშირის ტერიტორიაზე მათთვის შესვლის აკრძალვასა და მათი საბანკო აქტივების გაყინვას.

„ჩვენ სრულად ვგმობთ უკრაინის აღმოსავლეთ ქალაქებში შეიარაღებული პირების ქმედებებს. უკრაინის დესტაბილიზაციის ყველა მცდელობა უნდა შეწყდეს!" – განაცხადა ქეთრინ ეშტონმა.

ამასთან, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თქმით, ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინის ერთიანობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

„მოვუწოდებთ რუსეთს, გაიყვანოს ჯარები უკრაინის საზღვრებიდან!" – აღნიშნა ქეთრინ ეშტონმა.

ამერიკისა და რუსეთის ლიდერების ბარაკ ობამასა და ვლადიმერ პუტინის სატელეფონო საუბრისას კი ობამამ მის რუს კოლეგას განუცხადა, რომ თუ რუსეთი უკრაინაში მოქმედებას არ შეწყვეტს, ქვეყანას ახალი სანქციები დაუწესდება.

„პრეზიდენტმა შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მთავრობის მიერ პრორუსული სეპარატისტების მხარდაჭერის გამო, რაც უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციას უწყობს ხელს". – საუბარია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ვლადიმერ პუტინმა კი, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ამერიკის შეშფოთება „არასანდო ინფორმაციას" ეფუძნება. პუტინის თქმით, უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში არსებული ვითარება უკრაინის მოქმედი ხელისუფლების უუნარობის შედეგია.

„ბი-ბი-სის" ცნობით, თეთრი სახლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ჯეი კარნეიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთს საკუთარი ქმედებების გამო დიდი ფასის გადახდა მოუწევს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ტომას შენონმა ამერიკულ გამოცემა „ჰაფინგტონ პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ისინი არ გამორიცხავენ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ ვარიანტს, თუმცა, გავაკეთებთ თუ არა ამას, ჯერ არ ვიცით". – განუცხადა გამოცემას ტომას შენონმა. მისივე თქმით, უკრაინაში მიმდინარე პროცესები რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციის მცდელობაა.

მანამდე, უკრაინის შეიარაღების ინიციატივით რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი გამოვიდა. მისი თქმით, უკრაინამ უნდა იგრძნოს აშშ-ის მხარდაჭერა.

ამ ფონზე ამერიკის თავდაცვის სამინისტრო ინციდენტის შესახებ ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც რუსულ თვითმფრინავს უკავშირდება. „ლიგა.ნეტის" ინფორმაციით, რუსული მფრინავი საშუალება, რომელიც დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდა, შავ ზღვაში მყოფ ამერიკულ სამხედრო ხომალდს რამდენჯერმე მიუახლოვდა.

პენტაგონის ცნობით, რუსული თვითმფრინავის მოქმედება „პროვოკაციული და არაპროფესიონალური იყო". – განაცხადა უწყების სპიკერმა, პოლკოვნიკმა სტივენ უორენმა.

მისი თქმით, რუსული ბომბდამშენი სუ-24 დაახლოებით საათ-ნახევრის განმავლობაში 12-ჯერ მიუახლოვდა ამერიკულ სამხედრო ხომალდ „დონალდ კუკს" დაბალ სიმაღლეზე, რომელიც შავ ზღვაში 10 აპრილიდან იმყოფება. მისივე ინფორმაციით, მფრინავი მისი მოქმედების საშიშროების შესახებ რადიოგაფრთხილებაზე არ რეაგირებდა. პენტაგონში აღნიშნეს, რომ ინციდენტი ამერიკასა და რუსეთს შორის მომატებული დაძაბულების არსებობის დროს მოხდა. ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებით აღჭურვილი სამხედრო ხომალდი შავ ზღვაში უკრაინისა და ნატოს წევრი ქვეყნების მხარდაჭერის ფარგლებში იმყოფება.



# „ვაშინგტონ პოსტმა" და „გარდიანმა" პულიცერის პრემია გაიყვეს

ცნობილმა გაზეთებმა „ვაშინგტონ პოსტმა" და „გარდიანმა" ამერიკის ელექტრონული ჯაშუშობის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების გამო პულიცერის პრემია გაიყვეს.

როგორც ცნობილია, ამ ისტორიების საფუძველს ის დოკუმენტები წარმოადგენს, რომლებიც გამოცემებს ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა, 30 წლის ედვარდ სნოუდენმა მიაწოდა.

პულიცერის პრემიის ოფიციალურ ადმინისტრირებას კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლა აწარმოებს. პრემია ყველაზე პრესტიჟულია მათ შორის, რომლებიც აშშ-ში ჟურნალისტიკის სფეროში გაიცემა. ამ ორმა გაზეთმა დეტალურად გააშუქა მასალები, რომლებმაც გაჟონა უშიშროების ყოფილი კონტრაქტორის, ედუარდ სნოუდენის მეშვეობით და სააგენტოს სათვალთვალო პროგრამას ასახავდა. მასალები აჩვენებდა, როგორ შეისწავლიდა სააგენტო ინფორმაციას ინტერნეტში და როგორ უთვალთვალებდა მობილურ ტელეფონებს, მათ შორის მსოფლიოს ლიდერთა კუთვნილ ტელეფონებს.

ცნობებმა, რომლებიც ამ ორმა გაზეთმა გამოაქვეყნა, მსოფლიო მასშტაბის სკანდალი გამოიწვია და აშშ-ის ოფიციალური პირები აიძულა გადაეხედათ კანონმდებლობისთვის, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ამ პროგრამის მუშაობას. ორ გაზეთს პრემია „საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურისთვის" გადაეცა.

ედვარდ სნოუდენმა აღნიშნულ პრემიას ყველა იმ ადამიანის გამარჯვება უწოდა, რომლებსაც მიაჩნიათ რომ „საზოგადოებამ ქვეყნის მართვაში საკუთარი როლი უნდა შეასრულოს. ამ ჯილდოთი ჩვენ მადლობას ვუხდით იმ რეპორტიორებს, რომლებიც, დაშინების მიუხედავად განაგრძობენ შრომას", – აღნიშნა სნოუდენმა.

შეგახსენებთ, ამ დროისათვის სნოუდენი მოსკოვში იმყოფება – რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი 2013 წლის აგვისტოში მიანიჭა.

# მალტაში ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს

„ობსერვერის" თანახმად, მალტაში ერთსქესიანთა ქორწინება და ერთსქესიანი წყვილებისათვის შვილის აყვანის უფლება დაკანონდა.

„მალტა ახლა უფრო ლიბერალური და უფრო ევროპული ქვეყანა გახდა. ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე ახლა თანასწორია". – განუცხადა „როიტერს" პრემიერ-მინისტრმა იუსეფ მუსკატმა.

ამრიგად, მალტა გახდა ევროპის მეათე ქვეყანა, სადაც ერთსქესიან წყვილებს შვილად აყვანის უფლება მიეცათ.

მანამდე შოტლანდიის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა კანონი, რომელიც ერთსქესიან წყვილებს ოფიციალურად დაქორწინების საშუალებას მისცემს. კანონპროექტს მხარი დაუჭირა 105-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ 18 პარლამენტარი წავიდა. შოტლანდიის მთავრობამ ამ კენჭისყრას ისტორიული უწოდა.

პარლამენტის გადაწყვეტილებამ შოტლანდიელებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. განსაკუთრებით კრიტიკულად განწყობილნი არიან შოტლანდიის რელიგიური მოღვაწეები. 2013 წლის ბოლოსათვის ერთსქესიანი ქორწინებები დაკანონდა ინგლისსა და უელსში. ჩრდილოეთ ირლანდია გაერთიანებული სამეფოს ერთადერთი რეგიონია, სადაც ერთსქესიანი ქორწინებები კვლავ აკრძალულია.

შეგახსენებთ, რომ 2001 წელს ნიდერლანდი პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ერთსქესიან წყვილებს დაქორწინების იურიდიული შესაძლებლობა შეექმნათ. მას მერე ასეთი ქორწინებები ცამეტმა სხვა ქვეყანამ დააკანონა. ერთსქესიან წყვილთა ქორწინება, ზემოაღნიშნულ აშშ-ის რამდენიმე შტატთან ერთად, ასევე ნებადართულია მეხიკოში.

ერთი სქესის წყვილებს სამოქალაქო კავშირის, მაგრამ არა ქორწინების, უფლება აქვთ 20-ზე მეტ ქვეყანაში. ამასთან, ისრაელი ცნობს სხვა იურისდიქციების მიერ ლეგალიზებულ ერთი სქესის ქორწინებებს, თუმცა თვითონ ის ასეთ ქორწინებებს არ ახორციელებს.

ამჟამად პოლიტიკური და იურიდიული დებატები მიმდინარეობს ოცამდე სხვა ქვეყანაში ამ სახის ქორწინებების ლეგალიზებაზე. ზოგიერთი რელიგიური ჯგუფი ასრულებს ერთი სქესის წყვილთა ქორწინების რიტუალებს, მათ შორის კვაკერები.

ერთსქესიანი ქორწინება დაკანონებულია შემდეგ ქვეყნებში (ფრჩხილებში მითითებულია წლები, როდესაც დაიშვა ეს ქორწინება): ნიდერლანდი (2001); ბელგია (2003); ესპანეთი (2005); კანადა (2005); სამხრეთ აფრიკა (2006); ნორვეგია (2009); შვედეთი (2009); პორტუგალია (2010); ისლანდია (2010); არგენტინა (2010); დანია (2012); ურუგვაი (2013); ახალი ზელანდია (2013); საფრანგეთი (2013); შოტლანდია (2014); მალტა (2014).

მოამზადა გურა მამულაშვილმა

## სამგლოვიარო განცხადებები

### თენგო ბუჩაშვილის გახსენება

თენგო, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, 2 ტკივილიანი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, 2 გაუსაძლისი წელი გვაშორებს შენთან შორეულში მყოფ შენს მამიდებს, ცრემლშეუშრობელ ბებიასა და ბაბუას, მამას, დედმამიშვილებს გიორგისა და ნინოს. დრო, ალბათ, მაშინ არის მკურნალი, როცა გულს იჯერებ წასული ადამიანის ფერებით, მოვლით. უეცარ სიკვდილს კი დრო ვერ კურნავს, პირიქით, ცრემლითა და ტკივილით ავსებს. ეს უბედურებაა ჩვენთან, ამიტომაც ხშირად გესაუბრებით და ამით ვინუგეშებთ თავს.

ჩვენო ახოვანო, ლამაზო, კეთილო, ეს ორი წელი უნდა ყოფილიყო შენი ბედნიერებისა და საუკეთესო გზაზე სიარულის წელი. ვაგლახ, რომ არ დაგცალდა და ვერ ვიზეიმეთ კარს მომდგარი შენი ბედნიერება, რომელსაც ასე შევნატროდით...

რაღა დაგვრჩენია, ვიჩქაროთ შენს საფლავთან მოსვლა, ვილოცოთ შენი სულისათვის.

უფალს ებარებოდე, ჩვენო ანგელოზო!

*მამიდები დარეჯან და ქეთინო ბუჩაშვილები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## პროგრამა

ოთხშაბათი
16 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "გურმანია" 14.55 "სამოთხის ვაშლები" 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. "**დავქორწინდეთ**" 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. "**ნიკოლა ლე ფლოკი**" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 მხ/ფ "**ცხოვრება" როგორც სახლი**" (კ.კლაინი) 01.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ)

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ. "**სილა**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY – სასწრაფო დახმარება 00.40 "**ავიატორი**" (ლ.დიკაპრიო)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. ""**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**არ დამივიწყო**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის პაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე - ილორი 07.00 დოკ/ფ "გზა" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დოკ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 დოკ/ფ "გზა" III ნაწ. 16.00 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 16.20 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე -დიდი ოთხშაბათი 16.45 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სალვთისმსახურო წელიწადი 19.40 დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** (გამ) 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 14.30, 1.45, გადაცემა "პულსი"(გამ.) 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 1.7495


ევრო — 2.4085


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9243


100 რუსული რუბლი — 4.9216

## ამინდის პროგნოზი 16 აპრილისთვის




# მალე! მალე! მალე!




## ვინ მოკლა ინსპექტორი

„ახალ თაობასთან“ ერთად

# ლაშა ბუღაძე: „ტყუილს ვერ ვიტყვი!“

ეკა ირემაშვილი

მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე ახალ წერილს აქვეყნებს:

„ვიცი, დიმიტრი უზნაძე გენიოსი იყო და შესაძლოა ჩემი შთაბეჭდილებაც სწორედ განწყობის თეორიით გახლდეთ ნასაზრდოები, მაგრამ, რაც პარიზში ჩამოვედი, აგერ უკვე მერამდენე დღეა, ჩიტების ჭიკჭიკი მალვიძებს და რა ვქნა, მეჩვენება, რომ აქაური ჩიტები ბევრად უფრო მშვიდად, მძინარის შეუწუხებლად და ელეგანტურად ჭიკჭიკებენ, ვიდრე ჩემი თანამემამულე, გამწარებული ქართველი (ან საქართველოში შეყოვნებული) ჩიტები.



ჩიტები თბილისშიც აქტიურად იკრიბებიან ჩემი სახლის ფანჯრებთან ან (ახლომახლო არსებულ ხეებზე) და, მიუხედავად მათდამი ჩემი პატივისცემისა, ვერ ვიტყვი, რომ დიდად კმაყოფილი ვილვიძებ ამათი ჭიკჭიკის ქვეშ.

ხალხო, არ იფიქროთ, რომ ამჯერად ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების საგულშემატკივრო ტექსტს ვწერდე, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი: ერთკვირიანი დაკვირვების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი თბილისელი და პარიზელი ჩიტების განსხვავებულობაში: აქაურები სასიამოვნოდ სტვენენ, ჩვენები კი აგრესიულად ჭყივიან!

თავიდან ვფიქრობდი, რომ მეჩვენება (აკი ამიტომაც ვახსენე „განწყობის თეორია“), თუმცა როცა აქ მცხოვრებმა ქართველებმაც იგივე დამიდასტურეს, ჭოჭმანს შევეშვი და სიბრალულით გავიხსენე ჩვენს ტერიტორიულ წყლებსა თუ მის მიღმა მოფრთხიალე ქართველი ფრთოსანები.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ახლა არანაირ ალეგორიას არ მივმართავ და ჩიტებში მართლაც ჩიტებს ვგულისხმობ, სხვას არავის და არაფერს.

უნდა გესმოდეთ, რა ხმით ჩამჭყივიან ჩიტები თბილისში! კი არ ჭიკჭიკებენ, ბღავიან! ეს არაა სტვენა, ეს განწირულთა წივილია.

შეიძლება თუ არა, რომ ჩიტი ბავშვობისდროინდელი ცურვის მასწავლებლის სასტვენის ხმას უშვებდეს? როგორც ჩანს, შეიძლება, რაკი ჩვენი ჩიტები ნევროტულად და გაბმულად წივიან.

აუცილებლად უნდა ჩავწერო პარიზელი ჩიტების ჟღურტული და მერე ჩვენებს შევადარო, გაოგნდებით, ისეთ სხვაობას მიიღებთ.

საქართველოში ერთი ჩიტი ბუდობს ჩემს მახლობლად და უკვე წლებია (!) კაი გაბრაზებული პენსიონერი ქალბატონის ხმით გმინავს. რას ვუშვრებით ამ ჩიტებს, არ მესმის! ჩვენგან გადაუდით აგრესია?

და ძაღლებზე აღარ იკითხავთ?

აქხომ ძაღლის ყეფას ვერ გაიგონებ. დასეირნობენ მშვიდად ბაღებში და რომ დაიბნე და გზას დაეკითხო, შეიძლება, სენ სიმონის ფრანგულით გაგცენ პასუხი.

დიდებული ძაღლები ჰყავთ, ერთი სიამოვნებაა ამათი ცქერა.

და ჩვენთან? თბილისში ძაღლი ჰყავს ჩემს მეზობელს (არ ვიცი, სახლში, არ ვიცი, ეზოში) და კი არ ყეფს ან ყმუის, ტირილით კნავის! ჰო, ძაღლი და არა კატა! და მე თქვენ გეკითხებით, შეიძლება თუ არა, რომ ძაღლი კნაოდეს? რა ჯანდაბაა, ვერ ვხვდები.

არავის ვერჩი, მაგრამ პრინციპში, მთლად ნორმალური მოვლენა არც ის უნდა იყოს, რუსთაველზე რომ მამლის ყივილი გესმის გამთენიისას. რაკი ცხოველებზე და ფრინველებზე მიდგა საქმე, ეს მამალიც უნდა გავიხსენო: სანამ ჩიტები დაიწყებენ ბღავილს და, ვიდრე ის საწყალი ძაღლიც აჩხავლდება კნუტივით, მანამდე სადღაც ზევიდან (იმედია, არა მთაწმინდის პანთეონიდან) ჩამოისმის, ჩემი აზრით, სრულიად არაადეკვატური მამლის ყივილი. არაადეკვატური კი იმიტომ, ეს მამალი რატომღაც შუაღამისთვის იწყებს კივილს და არა გამთენიისას.

ერთი იმასღა ვნატრობ, იმ ზვიგენებმა არ გამოამტვრიონ ოქროყანის აკვარიუმი, თორემ მერე ნახეთ ჩვენი წვალება.

რა ქვეყანაა! ძაღლები წივიან, ჩიტები ღნავიან, მამლები ხავიან, ადამიანები ყეფენ, შინაგან საქმეთა მინისტრს დამწვარ ბორბალთა რევოლუცია ელანდება, და ამ დროს, არავინაა იმის მიმხვედრი, რომ შესაძლოა ამ პატიოსან ბავშვს ბუასიც ეშინოდეს და ამიტომ ბევრად უფრო ყურადღებით უნდა იყოს მისი პრესმდივანი ან, გნებავთ, მშობელი, რადგან სამყარო „დამწვარ ბორბლებზე“ ბევრად სერიოზული ხიფათებითაა სავსე.

მაგრამ ვინ ფიქრობს ჩვენთან ან ბავშვებზე ან ცხოველებზე?

კარგი, ჩემს ჩიტებს თავი დავანებოთ, ბავშვს შეიძლება მილიონი ვინმე გამოელაპარაკოს, არ უნდა მიაქციო ყურადღება, ვის ეპასუხება და როგორ? შეიძლება ისეთები დაფქვას, ჩემ მტერს.

როდის უნდა გაიზარდონ ჩვენი პატარა ხელმძღვანელი მუშაკები?

ჩემი ჩიტები სწორედ ამაზე წივიან“, – წერს ლაშა ბუღაძე.

# ჩიკაგოში თორნიკე შენგელია გაუშვა

თორნიკე შენგელია „ჩიკაგო ბულსის“ წევრი აღარ არის. 22 წლის ქართველ ფორვარდთან ნბა-ს კლუბმა კონტრაქტი გაწყვიტა. თორნიკეს ნაცვლად ჩიკაგოელებმა გრეგ სმიტი აიყვანეს, რომელმაც ფეხზე ოპერაცია გადაიტანა და ამ დროისთვის სრული დატვირთვებისთვის მზადაა.



თორნიკემ ჩიკაგოელებთან თითქმის 3 თვე გაატარა და მხოლოდ 9 მატჩში მიიღო მონაწილეობა, რის განმავლობაშიც ჯამში 17 წუთი ითამაშა და თავი 4 ქულას, 2 მოხსნას, 2 პასს და 1 ჩაჭრას მოუყარა.

შეგახსენებთ, რომ „ჩიკაგოში“ შენგელია „ბრუკლინიდან“ გადავიდა. ამ გუნდებში ქართველმა ფორვარდმა მთლიანობაში 55 მატჩი ჩაატარა და 5,5 წუთში საშუალოდ 1,3 ქულას, 1 მოხსნას და 0,4 პასს აგროვებდა.

ნბა-ს წესების მიხედვით, თორნიკე შენგელია 48 საათის განმავლობაში იქნება გაშვებულ კალათბურთელთა საერთო სიაში, საიდანაც მისი აყვანა ნებისმიერ კლუბს შეუძლია (კალათბურთელის კონტრაქტი ისევ ამოქმედდება, ოღონდ ახალ კლუბთან). ამ დროის გასვლის შემდეგ თორნიკე თავისუფალი აგენტი გახდება.

გაშვებიდან 48 საათის გასვლის შემდეგ თორნიკეს თავად შეუძლია თავისი მომავალი განაგოს. თუკი მას მანამდე აიყვანენ, პლეი ოფში თამაშის უფლება აღარ ექნება.

მ. ჟ.

# გოგი ქიქინაძე ქუთაისის ოპერის თეატრში დაბრუნდა

ეკა ირემაშვილი

დირიჟორი გოგი ქიქინაძე მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაბრუნდა. ამის შესახებ თავად დირიჟორმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა:



– მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩე თეატრში და განვახორციელო ყველა ის გეგმა, რომლებიც მიზნად მქონდა დასახული. ქუთაისის მერისგან და კულტურის სამინისტროსგან მივიღე საკმაოდ საინტერესო და გულწრფელი შეთავაზებები. მესმის, რომ ერთბაშად ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე, როდესაც ელემენტარული სკამები არ არის ოპერაში, რომ ორკესტრის წევრებმა რეპეტიცია გაიარონ, რთულია ისაუბრო მასშტაბურ პროექტებზე. ჩვენ გვქონდა დაპირებები ფინანსური კუთხით, რაც ამ ეტაპზე არ გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მე ვრჩები ოპერაში და ვაგრძელებ შემოქმედებით საქმიანობას. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, ქუთაისის მერიასა და ოპერის თითოეულ თანამშრომელს, რომელთა გულწრფელ მხარდაჭერას ვგრძნობ. მიღწეულია შეთანხმება როგორც ქუთაისის მერიასთან, ასევე კულტურის სამინისტროსთან. კულტურის სამინისტრომ მოგვცა პირობა, რომ ისინი ცალკეულ პროექტებს დაგვიფინანსებენ, ხოლო ქუთაისის მერია დამატებით 25.000 ლარს გადმოგვირიცხავს. რადგან მხარდაჭერის პირობა მივიღე როგორც ადგილობრივი, ისევე ცენტრალური ხელისუფლებისგან, დავრჩები თანამდებობაზე. თანაც ძნელია ასეთ სიტუაციაში ადამიანების მიტოვება. რაღაცას ან ვიღაცას უნდა გაუწიო ანგარიში, ამიტომ ოპერის თეატრში შემოქმედებით საქმიანობას ვაგრძელებ. – განაცხადა გოგი ქიქინაძემ.

კულტურის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილმა აღნიშნა:

– კულტურის სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რასაც გოგი ქიქინაძე თეატრისათვის ითხოვდა, შესრულდეს. სამინისტრო ქუთაისის ოპერის თეატრთან მჭიდრო თანამშრომლობას გეგმავს. ბატონი გოგი არის მისი საქმის უდავო პროფესიონალი. ის არის კადრი, რომელიც საჭიროა მუშაობდეს ისეთ ქალაქში, როგორიც ქუთაისია. ამ ქალაქში განსაკუთრებით პრეტენზიული და გემოვნებიანი მაყურებელი ცხოვრობს. მოგეხსენებათ, 1969 წლის 27 დეკემბერს უკვდავი სპექტაკლით „აბესალომ და ეთერით“ გაიხსნა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ქუთაისის ფილიალი. 1988 წელს საოპერო თეატრი გამოეყო თბილისის ოპერის თეატრს და დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა. ქუთაისის ოპერის თეატრში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი ხელოვანები, ამიტომ ამ თეატრს უდიდესი წარსული აქვს, რომელსაც ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ.

გოგი ქიქინაძემ კულტურის მინისტრს გურამ ოდიშარიას ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით დაახლოებით ერთი თვის წინ მიმართა. თანამდებობიდან წასვლის მიზეზად დასახელდა ის, რომ გოგი ქიქინაძემ ვერ მიიღო დაპირებული ფინანსები. ამ დრომდე მისი განცხადება დაკმაყოფილებული არ ყოფილა. საბოლოოდ კი პრობლემა მოგვარდა და გოგი ქიქინაძე კვლავ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია.


მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი

## ფელიქს ლაპიცკი



ატარებს რეაბილიტაციას რთული მოტეხილობის შემდგომ მოძრაობის აღდგენით



ასწორებს:
- აღნაგობის დარღვევას
- სქოლიოზს
- გულმკერდის დეფორმაციას
- „ქათმისებურ მკერდს“

მკურნალობს:
- ოსტეოქონდროზს (მარილებს)
- ზურგის არეში ტკივილებს
- რადიკულიტს
- უძილობას, ნევროზს
- თავბრუსხვევას

ტელ.: 232 47 38; მობ.: 595 63 92 94
E-mail: felix_lapitski@yahoo.com

## მარიამ ლაპიცკი

გთავაზობთ ჩვილ ბავშვთა სამკურნალო მასაჟს

მობ.: 598 40 53 08


## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ცხვირზე დასამაგრებელი ძველებური სათვალე; 2. ესპანელი აზნაური; 3. სასადილო ჭურჭლის შესანახი ბუფეტი; 4. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. ყველაზე გრძელი მდინარე საფრანგეთში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18 სურნელოვანი პარფიუმერული ფხვნილი.

**თარაზულად:** 1. ბრიტანული ნამცხვარი; 5. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 7. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 13. გემის, თვითმფრინავის დაქირავება გარკვეული წესით და პირობით; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილება; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ასტროპროგნოზი 16 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
სიახლის დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ნურავის ენდობით, თქვენთვის იყავით. **ტყუპები** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – ცხოვრება გეცვლებათ და ეს თქვენთვის ძალიან კარგია. **ლომი** – გახარებული ხართ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** – ჩაფიქრებული ხართ, გამხიარულდით. **თხის რქა** – რჩევას გეკითხებიან, მაგრამ მაინც თავისებურად მოქმედებენ. **მერწყული** – საქმე ბევრია, ამიტომ დრო გაანაწილეთ. **თევზები** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!